# საერთო გაზეთი

№22 (433) • 7 ივნისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## აფგან მუხთარლი და მუხთალი ვაიქართველები




რა პროვოკაციებს გეგმავდა საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომლის წევრიც აფგან მუხტარლი იყო?!



## გოგი თოფაძე:

თუ მიწა არ შევინარჩუნეთ, თუ მრეწველობა არ ავამუშავეთ და სოფელი არ ავაღორძინეთ, ვერც ხალხს დავასაქმებთ, ვერც ემიგრანტებს დავაბრუნებთ და არც არაფერი გვეშველება...



**გამოვფხიზლდეთ,** სანამ ბოლომდე არ შემოგვეჭამა და არ შემოგვეხარჯა ეს ქვეყანა

## „ჩინური ურჩხული“





„ჩინეთში სძინავს ურჩხულს. სძინავს და იძინოს, თორემ როცა გაიღვიძებს, ის შეაზანზარებს მთელ მსოფლიოს“.

**როგორ ვუთხრა ვაშა** იმ „ახალ“ საქართველოს, სადაც ყალბი პასპორტების და პირადობის მოწმობების მბეჭდავი ვაშაძე პატიოსნებაზე ბედავს ლაპარაკს?





**გარდაუვალია** – „ჩემი დედა მო....იდან“ აუცილებლად „ჩემი საქართველოს დედის მო....მდე“ მივალთ...

# აფგან მუხთარლი და მუხთალი ვაიქართველები






აფგან მუხთარლისთან დაკავშირებული ამბები რომ გახმიანდა, გივი თარგამაძემ განაცხადა: აზერბაიჯანელმა მაღალჩინოსნებმა დაურეკეს უჩა მამაცაშვილს და სთხოვეს, აფგანის დაკავებაში და აზერბაიჯანული მხარისთვის გადმოცემაში დახმარებოდნენ და მამაცაშვილმაც აზერბაიჯანელ ყონაღებს თხოვნა შეუსრულაო.

მთლად ბიძინა ივანიშვილამდე ვერ გაქაჩა თარგამაძემ, მაგრამ მაინცდამაინც შორს მაინც არ წასულა და იქვე მის საახლობლოში მოძებნა მუხთარლის დაკავებისა და გატაცების მთავარი ორგანიზატორი.

თარგამაძეს არც სხვები ჩამორჩნენ – არასამთავრობო ორგანიზაციები, ჟურნალისტთა კორპუსის, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, ყველაფრისა და ყოვლისმცოდნე ექსპერტები და ყველამ ერთად და ერთხმად ხელი დაადო საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურებს, ანუ საქართველოს ზესკანდალურ ბოროტებაში – ადამიანის ბანდიტურად დატყვევებასა და მეზობელი ქვეყნისთვის გადაცემაში.

იმდენად ხმაურიანი და მასშტაბური იყო მუხთარლის მხარდამჭერი აქციები, რომ ლამის მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო.

„რუსთავი-2“-მა იმდენად მნიშვნელოვნად ჩათვალა მუხთარლის ამბავი, რომ ამ დღეებში ლონდონში მომხდარი საზარელი ტერაქტის ამსახველი კადრებიც კი უკან გადასწია და პირველ ნიუსად მუხთარლის მხარდამჭერი აქციები გაუშვა.

გასაკვირი და გასაოცარი ის იყო, რომ ქართველები, ქართველი პოლიტიკოსები, ქართველი ჟურნალისტები, ქართველი ექსპერტები საოცარი ენთუზიაზმით და აღტყინებით ბრალს სდებდნენ და მთელი მსოფლიოს წინაშე ასმენდნენ საკუთარ სამშობლოს, საქართველოს, რომ ეს ქვეყანა, დემოკრატიული, ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფო კი არა, მაფიოზური, ბანდიტური, ყაჩაღური სახელმწიფოა, სადაც დღისით, მზისით შეიძლება ადამიანი გაიტაცონ, თავზე ტომარა წამოაცვან და სხვა სახელმწიფოს საჩუქრად მიართვან.

კიდევ უფრო გამაოგნებელი ის არის, რომ მუხთარლის დასაცავად ამხედრებულ ქართველებს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ამ უმძიმესი ბრალდების დამამტკიცებელი არანაირი მტკიცებულება არ გააჩნდათ და არ გააჩნიათ დღემდე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ ქართველებს არც უბედური აფგანის ბედი აწუხებთ, არც სიმართლის დადგენა აინტერესებთ, მათ აქვთ ერთადერთი მიზანი – საკუთარი სამშობლოს დისკრედიტაცია, მისთვის სახელის გატეხვა და საერთაშორისო ასპარეზზე ახალი პრობლემების და წინაღობების შექმნა.

**კი, ბატონო, მუხთარლისაც უნდა გამოესარჩლო და ნებისმიერ სხვა ადამიანსაც, რომელსაც უსამართლოდ ჩაგრავენ და ავიწროებენ, მაგრამ რატომ უნდა გააკეთო ეს საკუთარი ქვეყნის იმიჯის შელახვის, მის მიმართ ღია მტრობის ხარჯზე?**

მით უმეტეს, როცა დანამდვილებით არც იცი, სინამდვილეში რა მოხდა და გადაუმოწმებელ, ყურმოკვრით გაგონილ ინფორმაციებზე აგებ ძალზე სერიოზულ ბრალდებებს?

ბატონ აფგანს თურმე აზერბაიჯანულ ციხეში თავისი ადვოკატისთვის უთქვამს, ადამიანები, რომლებმაც თბილისში მანქანაში ძალით ჩამსვეს, ქართულად ლაპარაკობდნენო.

აი, ეს „ჩვენება“ დაედო საფუძვლად იმ აქციების ციკლს, რომლებიც წინა კვირას ერთიმეორის მიყოლებით გაიმართა.

ჯერ ერთი, დავიწყოთ იმით, რომ ქართულად ლაპარაკი სულაც არ ნიშნავს იმას, ეს ადამიანები მაინცდამაინც ქართველები იყვნენ.

ან კიდევ, რატომ უნდა დავუჯეროთ ჩვენ ასე ბრმად ბატონ აფგანს, რომ ის ასპროცენტიან სიმართლეს ლაპარაკობს და სინამდვილეში ეს არ არის კარგად მოფიქრებული შანტაჟი და პროვოკაცია საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელთანაც, როგორც ირკვევა, აფგანს გარკვეული წყენა და პრეტენზიები ჰქონდა მისთვის და მისი ოჯახისთვის საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის გამო.

ხომ არ იყო ეს შურისძიება მუხთარლის მხრიდან?

მუხთარლის გატაცება რომ მართლა ქართველ სამართალდამცავებს მოეხდინათ, რატომ იჭიკჭიკებდნენ ისინი მუხთარლის გასაგონად მაინცდამაინც ქართულად და ამით რატომ მოახდენდნენ საკუთარი თავის იდენტიფიკაციას?

დაბოლოს, ვინმეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ აფგან მუხთარლი მართლა თბილისში დააკავეს თუ ეს ყველაფერი საგანგებოდ შეთხზული ლეგენდაა?

აფგანის მეუღლემ, ქალბატონმა ლეილამ, კითხვაზე – როდის განაცხადა მან მეუღლის გაუჩინარების შესახებ, უპასუხა, რომ მან ეს გააკეთა დილით.

ამ დროს ქმარმა საღამოს საათებში დაურეკა ცოლს, სახლში მოვდივარ და რაიმე ხომ არ ვიყიდოო, ცოლს კი მთელი ღამე არც გაუკვირვებია და არც შეუცხადებია, სად დაიკარგა სახლში მომავალი ქმარი. მშვიდად დაიძინა და მხოლოდ დილით მოიძია უგზო-უკვლოდ გამქრალი თანამეცხედრე.

როგორ შეიძლება ყოველივე ამის ახსნა, ამაზე, ალბათ, გამოძიება გასცემს პასუხს, მანამდე კი კვლავ იმ ქართველებს მივუტრიალდეთ, რომლებიც აზერბაიჯანელ აფგანს კი იცავენ, მაგრამ სრულიად უარგუმენტოდ და უსაბუთოდ საკუთარ ქვეყანას ცილს სწამებენ და სახელს უტეხენ.

ქართველებიო, კი ვამბობთ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გვარ-სახელები ქართული აქვთ, პასპორტშიც საქართველოს მოქალაქეობა უწერიათ, საქართველოში ცხოვრობენ და საქმიანობენ, რამდენად არიან ეს ადამიანები ქართველები და რით მტკიცდება და რაში გამოიხატება მათი ქართველობა – საკუთარი ქვეყნის დასმენით? საკუთარი ქვეყნის მიზანმიმართული ლანძღვა-გინებით და შეურაცხყოფით? საკუთარი ქვეყნისთვის საძირკვლის გამოთხრით?

**ვინ ხართ, თქვე მართლა სინდისგარეცხილებო? ვის ემსახურებით, ვის დავალებებს ასრულებთ, ვინ გიხდით ფულს, ვისი აგენტურა და ვისი ჯაშუშ-შპიონები ხართ, ასე რომ მტრობთ საკუთარ სამშობლოს?**

– მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენო, – ნათქვამია.

ბატონი აფგანი, როგორც გაირკვა, „ნაცმოძრაობის“ და მისი განაყარი პარტიების ლიდერებთან მეგობრობდა და, აქედან გამომდინარე, ადვილად დასადგენია, რას წარმოადგენს თავად იგი, თუმცა სჯობს, აფგანს თავისმა აზერბაიჯანმა მიხედოს, ჩვენ კი ჩვენს საქართველოს მოვუაროთ.

**ვახტანგ ხარჩილავა**






„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# რა პროვოკაციებს გეგმავდა საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომლის წევრიც აფგან მუხტარლი იყო?!

რამდენიმე დღის წინ თბილისში აზერბაიჯანული ეროვნების პირი აფგან მუხტარლი დააკავეს, რომელიც, როგორც ამბობენ, საქართველოში აზერბაიჯანის სახელმწიფოს საწინააღმდეგო ქმედებებს ახორციელებდა.

ქართული მხარე აცხადებს, რომ ამ სპეცოპერაციასთან საერთო არაფერი აქვს. თუმცა საქართველოს გარკვეული პასუხისმგებლობა მაინც ეკისრება, რადგან მუხტარლი ბოლო ერთი წელი საქართველოში ცხოვრობდა. ჩვენი მხარის პასუხისმგებლობას ისიც ართულებს, რომ, როგორც საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან, თურმე, საქართველოში, 2013 წლიდან არსებობს აზერბაიჯანის ხელისუფლების საწინააღმდეგო ოპოზიციური ორგანიზაცია, რომელიც, სავარაუდოდ, თუ სხვა უფრო სავალალო გეგმებს არ ისახავდა, ფერადი რევოლუციის მოწყობა ნამდვილად სურდა თურმე აზერბაიჯანში, რაც, თავისთავად ცხადია, პრეზიდენტი ალიევის დამხობას ითვალისწინებდა.

ქართულ მედიაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ დაკავებული აფგან მუხტარლი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან – გივი თარგამაძესთან და ლევან თარხნიშვილთან მეგობრობდა და თანამშრომლობდა.

ამ თემასთან დაკავშირებით გვესაუბრებიან პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე და ანალიტიკური სააგენტო „უსაფრთხოების პრობლემების ანტიკრიზისული ცენტრის“ წარმომადგენელი დავით ფურცხვანიძე.





**გულბაათ რცხილაძე:**

– უნდა გითხრათ რომ, აფგან მუხტარლის დაკავებას წინ უძღვოდა აზერბაიჯანულ ელექტრონულ მედიაში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული სტატია, რომელიც სწორედ ამ თემას ეძღვნებოდა. პუბლიკაციაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში მოქმედებს აზერბაიჯანის ხელისუფლების საწინააღმდეგო ორგანიზაცია. მაგრამ აქ საინტერესო უფრო ის არის, რომ ეს გახლავთ აზერბაიჯანული სპეცსამსახურების მიერ შეკვეთილი სტატია და მასში ამ ქვეყნის სპეცსამსახურების დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ნაწილი არის გახმოვანებული. ეს გახლავთ ერთგვარი გზავნილი საქართველოს ხელისუფლებისადმი. კერძოდ, სტატიაში საუბარი იყო იმაზე, რომ საქართველოში შექმნილია აზერბაიჯანის ხელისუფლების საწინააღმდეგო ე. წ. ბუდე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება რატომღაც არ ააშკარავებს და ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებსო.

თვით იმ ე. წ. ჟურნალისტის – მუხტარლისადმი სერიოზული პრეტენზიები აქვს აზერბაიჯანის ხელისუფლებას.

რამდენიმე ტელეგადაცემაში მივიღე მონაწილეობა, რადგან, მოგეხსენებათ, ყველგან არის ატეხილი ხმაური, რომ აზერბაიჯანის ციხეში მოხდება მუხტარლის წამება და ა. შ. მაგრამ მე მინდა დავსვა ერთი რიტორიკული შეკითხვა: რამდენიმე თვის წინ საზოგადოების ერთი ნაწილი ისტერიულად გაჰყვიროდა – როგორ შეიძლება „გაზპრომიდან“ გაზის ყიდვა, როგორ შეხვდება ამ ამბავს მეგობარი აზერბაიჯანიო? ეს იმ დროს, როცა გაზის ყიდვა-გაყიდვა არის ჩვეულებრივი ბიზნესაქტივობა და ამას პოლიტიკურ ურთიერთობებთან არ აქვს პირდაპირი კავშირი. დღეს იგივე ხალხი კიჟინებს იმაზე, რომ დიდი დანაშაულია საქართველომ აზერბაიჯანს გადასცეს დაკავებული, რადგან მას იქ აწამებენ და ა. შ. ახლა მე ვკითხულობ: აღარ არის აზერბაიჯანი ჩვენი მეგობარი სახელმწიფო? თუ ისეთი „მეგობარი“ გვყავს, რომელსაც ტუსაღს ვერ ანდობენ? რატომ აყენებენ მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოს შეურაცხყოფას, თითქოს იქ რაღაც საშინელებები ხდებოდეს, ადამიანის უფლებები ირღვეოდეს და სხვ. რაც ნიშნავს, რომ აზერბაიჯანში პრეზიდენტი ან ვერ ფლობს სიტუაციას, ან თვითონ არის ადამიანის უფლებების დარღვევის მომხრე თავის ქვეყანაში, რასაც ჰქვია სახელი და ეს არის დიქტატორი. ასეთი განცხადებები, რბილად რომ ვთქვა, ძალიან სავალალოა საქართველოსთვის. თუ ასე გაგრძელდა, მეგობრობაზე ლაპარაკი ვეღარასდროს ვეღარ შედგება ჩვენსა და აზერბაიჯანს შორის.

საქართველოს ხელისუფლებამ სირაქლემას პოზა არ უნდა დაიჭიროს და უნდა თქვას ყველაფერი ღიად, ისე, როგორც იყო.

მე ვიცი, რაც ხდება – ვინც ხმაურობს და ედება ღობეყორეს, ის ხალხია, ვისაც სურს საქართველოში მიშა სააკაშვილის ჩამოყვანა. ესენი არიან „ნაციონალური მოძრაობის“ განშტოებები, ე. წ. ლიბერასტული წრეები, რომლებიც უკვე მრავალი წელია საქართველოს გაურკვეველი მიმართულებით მიაქანებენ. ამას პროდასავლური კურსიც არ ჰქვია. ეს არის რაღაც გაურკვეველი მიმართულება, რომელსაც ქვეყანა მიჰყავს დაღუპვისკენ. ეს არის, ამ ინციდენტში ყველაფრის თავი და ბოლო.

ეს ის ხალხია, ვინც თავის დროზე გეგმავდა და აწყობდა „ვარდების რევოლუციას“.



ფარმან ჯირანლი

აი, ასეთი ამბები ტრიალებს დღეს ქვეყანაში.

იყო დრო, რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული მსგავსი მიდგომები, ახლა აზერბაიჯანის წინააღმდეგ დაიწყეს. საქართველოს ხელისუფლება კი ყოველივე ამას, რატომღაც, არ ეწინააღმდეგება.

ზემოთ რომ ვახსენე, სანამ ის სტატია არ გამოქვეყნდა აზერბაიჯანულ საიტზე, მანამდე საქართველოს ხელისუფლებას ყურიც არ შეუბერტყავს, რომ საქართველოში მიმდინარეობდა აქტიური მოქმედებები აზერბაიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ.

**– ახლა, ალბათ, აზერბაიჯანელები სააკაშვილსა და მის მთავრობას მოინატრებენ, მით უფრო, რომ, რამდენადაც ვიცი, ალიევსა და სააკაშვილს არც ისე ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ.**

– სააკაშვილი და ალიევი გულითადი მეგობრები არასდროს ყოფილან. დიპლომატიური მისალმების გარდა მათ არ ჰქონიათ მჭიდრო ურთიერთობა. დიახ, ალიევმა მიიღო ბაქოში უსტატუსოდ დარჩენილი სააკაშვილი, მაგრამ სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტი იყო, ჩვენდა სამარცხვინოდ, მიხეილ სააიაშვილი. მოკლედ, აზერბაიჯანს საქართველოსთვის არასდროს შეუქმნია პრობლემა იმ კუთხით, რომ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე ტიპის პლაცდარმი შეექმნა სახელმწიფოს შიგნით.

**– ქართულმა სპეცსამსახურებმა არ იცოდნენ, საქართვე-**

5 გვ. →

# როგორ ვუთხრა ვაშა იმ „ახალ“ საქართველოს, სადაც ყალბი პასპორტების და პირადობის მოწმობების მბეჭდავი ვაშაძე პატიოსნებაზე ბედავს ლაპარაკს?

სააკაშვილის „ასკოლკა“ გიორგი ვაშაძე კორუფციაზე ალაპარაკდა და „სამიზნედ“ უფასო სასადილოები ამოირჩია. მას, რა თქმა უნდა, არ ახსოვს ის დრო, როცა ვაშაძე ხელისუფლებაში იყო და მისი ლიდერი ერთი უფასო სასადილოდან მეორეში „გარდამავალი დროშასავით“ გადადიოდა, რათა ჟურნალისტებისათვის ეჩვენებინა როგორ ხვრეპდა თვალის დახამხამებაში ბენეფიციარებისათვის გამზადებულ სუფს, სინამდვილეში ეს ის არ იყო, რასაც ვხედავდით ტელეეკრანზე. მერე რა, რომ რეალურად უფასო სასადილოები გახსნილი იყო გაურემონტებელ შენობებში, სადაც ანტისანიტარია მეფობდა და თბილისში იმჟამად მოქმედი 40-მდე უფასო სასადილოდან, მხოლოდ რამდენიმე სასადილო იყო განთავსებული გარემონტებულ ფართში. სწორედ ამ საჩვენებელ სასადილოებში დადიოდა მიშა.

2011 წელს გამოქვეყნდა



სტატია, სადაც ვკითხულობთ: „მიუხედავად მთავრობის წევრთა არაერთი განცხადებისა, რომ ჩვენთან სიღარიბე შემცირდა, ასეთ დაწესებულებებში ბენეფიციართა რიცხვი უფრო და უფრო მატულობს. თბილისში 36 უფასო სასადილო მოქმედებს და ყველა მათგანში ყოველდღიურად 13 651 ადამიანი იღებს ულუფა სადილს. თბილისის ბიუჯეტიდან კი უფასო სასადილოებზე 5 731 844 ლარია გამოყოფილი, ანუ დღიურად ერთ ბენეფიციარზე თბილისის მთავრობა სულ რაღაც 1,15 ლარს ხარჯავს.

უმწეო ადამიანთა ნაწილს უფასო სასადილოებთან დაკავშირებით გარკვეული პრეტენზიები გააჩნიათ. ისინი ჩივიან, რომ მათ უხარისხო, გაფუჭებულ-დაობებული საკვებით უმასპინძლდებიან, ნაწილი კი ამბობს, რომ სასადილოში 3-ჯერ ზედიზედ თუ აღარ მივიდა, მეოთხედ უკვე აღარაფერს აჭმევენ და ბენეფიციართა სიიდან შლიან. საჭმელი ძალიან უხარისხოა. მენიუში ლობიო, ბარდის წვნიანი და ფაფები შედის, მაგრამ თითო ულუფაში 4-5 ლობიო დაცურავს, არც მწვანილი აქვს და არც ცხიმი. როცა ძალიან გშია, იძულებულები ხარ შეჭამო თანაც უფლებაც არ გაქვს ხმა ამოიღო. ერთხელ მივეცით შენიშვნა, რომ ბრინჯი მოხარშული არ იყო და ისეთი სიტყვებით გამოგვლანძღეს, თითქოს საკუთარი ჯიბიდან გვაპურებდნენ“.

გავიმეორებ, ეს სტატია (საიდანაც ამონარიდი შემოგთავაზეთ) დაიწერა 2011 წელს და იმჟამად გიორგი ვაშაძე, ისევე როგორც მისი თანაპარტიელები და სხვა ნაციონალური „ასკოლკები“, მიშას „საფლავში ჩამყოლებითურთ“ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ, თუმცა მათი პროტესტი არავის გაუგია.

ამ სტატიის გამოქვეყნებიდან ცოტა ხანში კი, პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ საბურთალოს გამგებელს გია ხუროშვილს საკრებულოს წევრები რესტორნებში ამომრჩევლების დაპატიჟებასა და ამ გზით ადგილობრივი არჩევნებისთვის ხმების მოზიდვაში ადანაშაულებდნენ. გია ხუროშვილმა რესტორანში მოსახლეობის დაპატიჟების ფაქტი დაადასტურა და აღნიშნა, რომ ესენი იყვნენ სოციალურად დაუცველი ადამიანები. სიმართლისათვის მებრძოლი ვაშაძე, ცხადია, არც ამ ფაქტს აღუშფოთებია.

2014 წელს კი საკრებულოს თავმჯდომარემ, ირაკლი შიხიაშვილმა განაცხადა: „კრწანისის რაიონის გამგებელმა ხათუნა ბერძენიშვილმა უფასო სასადილოებისთვის გამოყოფილი თანხა „ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებისა და „თავისუფალი ზონის“ წევრთა აქციების დასაფინანსებლად გამოიყენა“. ირაკლი შიხიაშვილის ინფორმაციით, „კრწანისში უფასო სასადილოს პროგრამაში ჩასმულია „თავისუფალი ზონის“ წევრი გირშელ ბართაია მისი ოჯახის წევრებთან ერთად, არადა, ამ ადამიანს თვიურად 2000–ლარიანი შემოსავალი აქვს“. ცოტა უფრო ადრე, 2006 წელს კი „ჰუმანრაითვოჩი“ წერდა: **„თითქმის ორი თვეა, გორში, „ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით გახსნილი უფასო სასადილო დაკეტილია. მოხუცი პენსიონერი ელიკო ლეჟავა კი, რომელიც გორის ნარკოლოგიური ცენტრის დანგრეულ შენობაშია შესახლებული, თვეზე მეტია სასადილოს კარებთან ცარიელი ქილით მიდის, იქნებ როდისმე გაიღოსო... ელიკო ლეჟავას ჩავარდნილი ღრმად მოხუცებული დედისთვისაც მიჰქონდა ხოლმე სასადილოდან საჭმელი.** უფასო სასადილო გორში 2005 წლის დეკემბერში გაიხსნა. სასადილოს გახსნისთვის პარტიის გორის ოფისს ცენტრალური ოფისიდან საკმაოდ სოლიდური თანხა დაერიცხა. სამშენებლო სამუშაოების ჩატარება პარტიის გორის ორგანიზაციის მდივანს დავით კეკელიშვილს დაევალა. მოეწყო კიდეც სასადილოს მსგავსი ტიპის ოთახი, მაგრამ როდესაც ადგილზე გენერალური მდივანი გიორგი არველაძე და პარლამენტარი დავით კირკიტაძე ჩამოვიდნენ, მათ სასადილო სავალალო მდგომარეობაში დახვდათ. სასადილოში არც გაზი, არც დენი, არც სითბო და არც სისუფთავე იყო.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ციტატები სხვადასხვა სტატიებიდან ზღვაში წვეთია, რაც იმ პერიოდში იწერებოდა, თუმცა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ „დიდ პოლიტიკოს“ გიორგი ვაშაძეს იმხანად ხმა ამოეღო. ეტყობა, ვაშაძემ ეს ყველაფერი „არ იცოდა“ და არც ის იცოდა, რომ ნაციონალების თვალის სინათლე, ამჟა-



მად სააკაშვილის „სასტავის“ „პრიმადონა“ მეგი გოცირიძის, რომელიც განაგებდა უფასო სასადილოებს, დედამთილ-მამამთილი უფასო სასადილოში იკვებებოდა. მე არ ვიცი, მართლა დადიოდა თუ არა ამ ტიპის სასადილოში გოცირიძის ქმრის დედ-მამა, მაგრამ ბენეფიციარები რომ იყვნენ ეს ზუსტად ვიცი და ისიც ზუსტად ვიცი, რომ გოცირიძის ნათესავები (იმედია დედამთილ-მამამთილი ნათესავად მიაჩნია გოცირიძეს) სოციალურად დაუცველთა დახმარებას იღებდნენ, ეს იმ დროს, როცა მიშას, გოცირიძის ბელადს, როცა ქონება დაუყადაღეს, მეგი გოცირიზე სოციალურ ქსელში სტატუსს სტატუსზე აცხობდა ორი მიწის ნაკვეთი მაქვს, სააკაშვილს ვაჩუქებ, თქვენ რა გეშველებათ ქოცებო, თორემ მიშას ჩვენ ვყავართ და ღარიბი არააო.

ვაშაძისათვის ახლა კითხვის დასმა – სად იყავი ამ დროს – ბანალურიც იქნება და სასაცილოც.

ალბათ ვაშაძემ ისიც არ იცის, უფასო სასადილოებში საკვების შეტანაზე ვის ჰქონდა



„თათი დადებული“, შევახსენებ:

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, უფასო სასადილოებში საკვები „ემ-გრუპს“ შეჰქონდა. „ემ-გრუპი“ – ს (რესტორნების ქსელი: „მასპინძელო“, „პურის სახლი“, „მეტეხის ჩრდილი“, კურორტი ყვარლის ტბა და ა.შ.) ერთ-ერთი მფლობელი კი ნაციონალების დამფინანსებელი, დეპუტატი არჩილ გეგენავაა.

კიდევ ვიმეორებ, ეს არის ზღვაში წვეთი და ეს ყველაფერი იმიტომ არ შეგვიხსენებია ვაშაძისთვის, რომ დღეს ვიცავთ ვინმეს. არა, უბრალოდ, ვის ვის და ვაშაძეს ნამდვილად არა აქვს სალაპარაკო არაფერი.

ბატონ გიორგი ვაშაძეს მინდა ვკითხო, 20 ათასი პირადობის გაყალბებული მოწმობა ბათუმში ვინ დაბეჭდა? ან სად დაიბეჭდა? ბოდიში მომიხდია და თქვენ ბატონი გიორგი, ამ დროს სამოქალაქო რეესტრის ხელმძღვანელო ხომ არ იყავით და ხომ არ კურირებდით ამ სფეროს? ყალბის შემქმნელო ვაშაძევ ვინ არის აჭარის კუდის ყოფილი უფროსი პატარიძე და რა კავშირშია ის თქვენთან? ბატონი ვაშაძე რომ ქართული დემოკრატიის ფუნდამენტად გადაიქცა, ხომ ვერ აგვიხსნის, საიდან მოვიდა ეს პირადობის მოწმობები? მე არც მოსამართლე ვარ და არც პროკურორი, ეს ყველაფერი პროკურატურამ უნდა დაამტკიცოს, ვაშაძისგან მაინტერესებს ათასობით ყალბი პირადობის მოწმობა როგორ აღმოჩნდა მისი ხელმძღვანელობის დროს? პირადობის მოწმობები მისი ნებართვის გარეშე არ უნდა გაცემულიყო. ბატონი ვაშაძისგან ნოტაციების კითხვას ვერ მივიღებთ“, – აცხადებს ცაგარეიშვილი და დასძენს

3 გვ.

**ლოში და, კერძოდ, თბილისში აზერბაიჯანის ხელისუფლების რადიკალური ოპოზიცია რომ ბინადრობდა?**

**დავით ფურცხვანიძე:**

– ეს ამბავი ცნობილი იყო და ისიც ცნობილი გახლდათ, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების ერთ-ერთი მწვავე ოპონენტი **ალი ქერიმლი** საქართველოში მოღვაწეობდა. ქერიმლის დასაყრდენი იყო ის ოპოზიციურად განწყობილი ძალები საქართველოში, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს არა მხოლოდ საქართველოს რეგიონებში, არამედ, კონკრეტულად, თბილისშიც.

სამწუხაროდ, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არ აქვს გამოკვეთილი დამოკიდებულება არც აზერბაიჯანის მიმართ, არც რუსეთის, ან ირანის, ან აშშ-ის მიმართ.

**– მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს იმის მაპროვოცირებელი, რომ საქართველოდან რაიმე საფრთხეს გრძნობდეს აზერბაიჯანი.**

– დიახ, მაგრამ საკითხი სხვანაირად დგას – საქართველოში ჩაბუდებული ანტიაზერბაიჯანული ძალები არა მხოლოდ აზერბაიჯანისათვის გეგმავდნენ სავალალო შედეგებს, არამედ ეს ძალები და მასთან დაახლოებული, ქვეყნის შიგნით არსებული მავნე

# რა პროვოკაციებს გეგმავდა საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომლის წევრიც აფგან მუხტარლი იყო?!

ელემენტები ცდილობდნენ, საქართველოში სიტუაცია აერიათ და ამით აზერბაიჯანშიც გამოეწვიათ დესტაბილიზაცია.

**– საქართველოში თუ არეულობა იქნება, აზერბაიჯანში დესტაბილიზაციასთან ეს რა კავშირშია?**

– საქართველოში სიტუაციის დაძაბვა და მიშა სააკაშვილის ჩამოყვანა უფრო უკეთესი პირობა იქნება იატაკქვეშეთისთვის, რათა მოამზადონ ფერადი რევოლუცია აზერბაიჯანში, თორემ **აფგან მუხტარლი** არაა აქ მნიშვნელოვანი. ადამიანი, რომელიც ჟურნალისტად ასაღებს თავს და წლების განმავლობაში ერთი სტატიაც არ აქვს არსად გამოქვეყნებული და არც ერთი სატელევიზიო გამოსვლა არსად არ ჰქონია ჟურნალისტის სტატუსით. ეს ადამიანი ჟურნალისტი არ არის, ის თვითმარქვიაა და რატომ იხსენიებენ მას ამ პროფესიის წარმომადგენლად, არ მესმის...

პირდაპირ ვიტყვი, აფგან მუხტარლი ანტიაზერბაიჯანული იატაკქვეშა ორგანიზაციის წარმომადგენელია. ის ჟურნალისტ **ხაჯიჯა ისმაილოვას** მცველი იყო და ამ საქმეში ერთი რიგითი კურიერი გახლავთ.

ამას გარდა, თბილისში ცხოვრობს აზერბაიჯანის მთავრობის ყოფილი პროკურორი **ვიდადი ისკენდერი**. რომელიც ცდილობს თბილისში უფლებადამცველთა საერთაშორისო ორგანიზაცია „კავკასიის თავისუფლების ცენტრი“ ჩამოაყალიბოს, რომლის დამფუძნებელი ამსტერდამში აზერბაიჯანული წარმოშობის პირი, ჰოლანდიაში მცხოვრები **აზერ რემიზოღლუ** გახლავთ.

მე შემიძლია ჩამოგითვალოთ გვარები იმ ზაერბაიჯანელებისა, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და მოქმედებენ აზერბაიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ.

არსებობს ჰოსტელი, სახელწოდებით „Loft Hostel“, რომლის მფლობელები არიან აზერბაიჯანელი ცოლ-ქმარი. იქ ანტიაზერბაიჯანული იატაკქვეშა ორგანიზაციის ბუდეა.

ყველამ ვიცით ამ ბოლო ხანებში გახმაურებული სკანდალის შესახებ, რომელიც კლინიკა „ლანცეტში“ მოხდა. ამ კლინიკის მფლობელი **ფარმან ჯეირანლი** ტელევიზია „მეიდანის“ მფლობელია. მის ტელევიზიაში მუხტარლისთან დაახლოებული, მისი თანამებრძოლი და თანამოაზრე, **ხაჯიჯა ისმაილოვას** მეგობარი ილგარ ვალიევი მუშაობს და როგორც შემატყობინეს, ვალიევი ფარმან ჯეირანლის ახლო მეგობარია.

თბილისში დაახლოებით, ათი უცხოელი და ასევე რამდენიმე აზერბაიჯანელი ერთად ცხოვრობენ და ბაქოს მიმართულებით აქტიურ შეტევას გეგმავენ. ამის შესახებ უწყიან ქართველმა სპეცსამსახურებმა და ახლა რეაგირება ხელისუფლების პრეროგატივა გახლავთ.



დავით ფურცხვანიძე

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

---

რომ ალბათ მიღწეული წარმატებების გამო მოხდა ვაშაძის დაწინაურება წინა ხელისუფლების დროს როდესაც ის ზურაბ ადეიშვილის მოადგილედ დაინიშნა. ერთი ჟურნალისტი წერდა: „როცა საუბარია „ნაციონალური მოძრაობიდან“ ახალი ლიდერების გამოჩეკაზე, როცა გიორგი ვაშაძე მოიაზრება „ნაცმოძრაობის“ იანუსად, ვაშაძე ვერ აჩვენებს კეთილ სახეს, რადგან მისი ორმაგი სახე მხოლოდ ბოროტების მსახურია. ცინიზმია, როცა უკრაინა იუსტიციის სახლების რეფორმებში მრჩევლად ეძახის კაცს, რომელმაც არჩევნები გააყალბა და მას ბრალად ედება ყალბი პასპორტების დაბეჭდვა. ცინიზმია, როცა დღესაც ჩვენ ვარჩენთ „ნაციონალურ“ მოძრაობას და ხელფასებს ვუხდით საკუთარი დილიხორის გასწორებაში, ჩვენ ვაფინანსებთ მათ აღვირახსნილ გრიალს და ეშმაკთან მეგობრობას. სამარცხვინოა, როცა საუბრობენ გაცემულ პრემიებზე ისინი, ვინც ხალხის ფულს „კაზინოებში“ თამაშში ხარჯავს. ვაშაძე, ან გაჭირვებული ნათესავი არ გყავს, ან მეგობარი, ან სინდისი არ გაქვს, რომ დაეხმარო? არ თქვა ახლა კაზინოების რეფორმებით ვარ დაკავებული, აი, ესაა თქვენი ნამდვილი სახე, ნიღბებს ამოფარებული წურბელები ხართ, ესეც შენი ფოტო ვაშაძე და როცა კაზინოში შესვლასა და ეშმაკთან თამაშს გადაწყვეტ, გახსოვდეს, ხალხთან თამაში, კაზინოში თამაში არ არის.“

ასევე: „თბილისის აეროპორტის მესაზღვრე-კონტროლიორმა ვაჟა ღოღაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის, ყოფილი პრემიერ მინისტრის ვანო მერაბიშვილის ყალბი პასპორტის შესახებ განაცხადა, რომელიც ვაჟა-ფშაველას N14-ში მცხოვრები ვინმე ლევან მაისურაძის სახელზეა გაცემული 2011 წლის 25 აგვისტოს და მასში ვანო მერაბიშვილის სურათია ჩაკრული.



„ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წევრმა და სამოქალაქო რეესტრის ყოფილმა თანამშრომელმა ლაშა მესხიამ ის ადამიანი დაასახელა, ვინც, სავარაუდოდ, ყალბი პასპორტი გადასცა ვანო მერაბიშვილს. მესხია ამბობს, რომ ეს პიროვნება არის გიორგი ეპიტაშვილი, რომელიც უშიშროების თანამშრომელია და სამოქალაქო რეესტრში მუშაობს... რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთი საეჭვო წარმომავლობის პასპორტი და პირადობის მოწმობა მოიპოვა. საბუთი გაცემულია გოჩა წერეთლის სახელზე, თუმცა, მასში ჩაკრულია შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, თბილისის მერიის დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძის ფოტოსურათი. გიორგი ლორთქიფანიძემ დაადასტურა, რომ ეს პასპორტი და პირადობის მოწმობა მართლაც იყო მის განკარგულებაში გარკვეული დროის განმავლობაში. მანვე გამოძიებას განუმარტა, რომ პასპორტები სხვისი დემოგრაფიული მონაცემებით, შესაძლოა, ჰქონდეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლებსაც. საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა მერაბიშვილის დაცვის წევრი ვანო ტუღუში, რომელმაც განაცხადა, რომ 2012 წლის 30 ნოემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ივანე მერაბიშვილს ორი პასპორტი გადასცა. გავრცელებული ინფორმაციით, ასეთი 150 პასპორტი არსებობს და ისინი, ძირითადად, მაღალ ჩინოსნებზეა გაცემული. ამ ყალბი დოკუმენტების გაცემის თარიღი იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც რეესტრს ამჟამად პარლამენტარი გიორგი ვაშაძე ხელმძღვანელობდა.

ყალბი პასპორტების გარდა მალულად და ფარულად უწერდნენ მოქალაქეებს უცხო ადამიანებს სახლში და არჩევნებში იყენებდნენ. კომუნალურ გადასახადებსაც უკანონოდ ახდევინებდნენ“.

და ბოლოს, ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით, მაგრამ მაინც: გაჭირვებულ ადამიანების ბედზე ნაციონალები ცეკვავდნენ, იყენებდნენ მათ აქციებზე გამოსაყვანად, მათ მცირე ულუფაზე აკეთებდნენ ფულს და ამ გზით გამდიდრდა ყველა, ვინც ზემოთ ვახსენეთ და ვინც არ გვიხსენებია. ეს ძალიან კარგად იცის ვაშაძემაც, ამიტომაა რომ ახლა ალაპარაკდა უფასო სასადილოებზე, თორემ განა მან არ იცის რომ ტენდერს ფასების რეალურად მითითების შემდეგ, ვერავინ მოიგებს და აქ ფასები ქვემოთ მოდის, მაღლა არასდროს. ალბათ 2-3 ლარი ან თუნდაც მეტი რომ იხარჯებოდეს, ვაშაძეს უკვე სხვა „თემა“ ექნებოდა სალაპარაკო. 1,15 ლარიდან, რომელსაც „ხარჯავდა“ სანაცეთი უფრო მეტი ტყდებოდა, ვიდრე დღეს, 90 თეთრიდან. ამიტომაც, ვამბობთ, ნაციონალებისთვის გუნდრუკი რომ არ ეკმია დღევანდელ ხელისუფლებას, ვაშაძის მსგავსნი ვერაფერს იტყოდნენ და თემას განსახილველად ვინმე პატიოსანი (ასეთიც თუ არსებობენ საქართველოში) გამოიტანდა.

ჰოდა, ახია ხელისუფლებავ, შენზე. ვაშაძის ნაირებს „სვაბოდაზე“ რომ დაატარებთ, ჰალალია, ჰალალი. ჯერ სად ხართ!

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

## სოსო მანჯავიძე:

# გამოვფხიზლდეთ, სანამ ბოლომდე არ შემოგვეჭამა და არ შემოგვეხარჯა ეს ქვეყანა



„საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი სოსო მანჯავიძე:

**— სოსო, კვლავ გააქტიურდა საკითხი, თუ რა არჩევანი უნდა გააკეთოს საქართველომ? რას იტყვით ამის შესახებ?**

— სიტუაცია ასეთია: პროპაგანდისტული ომი ყოველთვის გრძელდება, იმის მიუხედავად როგორია სამხედრო-პოლიტიკური ხაზი. აქედან გამომდინარე, სახეზე გვაქვს იდეოლოგიური ბრძოლა, რაც საქართველოში ძალიან საინტერესო და პარადოქსალური ფორმებით მიმდინარეობს. საერთოდ, დასავლური მართვის სტილი გავლენისგან დახვეწილია, იგი ინტეგრირებულად ხორციელდება განსაკუთრებით საინფორმაციო საშუალებებზე ბატონობით, არასამთავრობოების ქსელის დაფინანსებით, რომელიც პირდაპირ გავლენის აგენტურას წარმოადგენს. ისმის კითხვა: რა ხდება საქართველოში? არასამთავრობოთა ქსელი და საინფორმაციო საშუალებები, ჩვენი მენტალობისთვის ძალიან მიუღებელი ფორმებით, დასავლეთის პროპაგანდას ავრცელებენ. მაგალითად, ავიღოთ, ბოლო კლიპი, რომელიც ე.წ. მარგინალურმა მედასავლეთეებმა (დასავლური კულტურა სულ სხვა ფენომენია, ვიდრე აქ წარმოსახავენ სხვადასხვა არასამთავრობოები) გადაიღეს. ამ კლიპში პირდაპირ ფორმულები, თუ როგორ წარმოაჩენენ ისინი დასავლეთს: დასავლეთი ეს არის ნათელი, თავისუფლება, დემოკრატია და იქვე, აუცილებლად ჟღერს ლგბტ თემა. პირველი რასაც ამბობენ, ზოგადად, ადამიანის იდენტობა მის სექსუალობაზე დაჰყავთ, ანუ შენი იდენტობა შენი სექსუალობაა. შემდეგ, თავისუფლება დაიყვანება სექსუალურ თავისუფლებამდე. ანუ იდენტობა არის სექსუალობა, თავისუფლება არის კარგი, ხოლო ცუდია რაც თავისუფლებას ზღუდავს და ეს გაუნათლებლობაა. აქედან გამომდინარე, თუ ეს შეზღუდული არ არის, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს როგორი იდენტობა გაქვს — ხარ ჰომოსექსუალი, ჰეტეროსექსუალი თუ კიდევ იმ 49 სექსუალური მარკერის მატარებელი, რომელიც დასავლეთში პარადოქსალური ფორმით არის. აღნიშნული კლიპი მიდის ღიმილით, მუსიკით, ბერძენიშვილს და ქორიძეს შეურჩევიათ „ილიაუნის“ დაბნეული მრევლი, ახალგაზრდები. ეს ჩვეულებრივი ჰიპნოზის კლასიკური მაგალითია. სინამდვილეში, ამ ლოზუნგების მიღმა სრულიად მაგიპნოზირებელი ფორმულა იკითხება: შენ ხარ მხოლოდ სექსუალური ხორცი, სხეული, მხოლოდ სექსუალური მისწრაფებები. ცნობისათვის, ამ კლიპს იგივე მაგიპნოზირებელი ეფექტი აქვს, როგორც კომპიუტერულ თამაშს, სადაც ბავშვები თავს იკლავენ. დასავლეთი არის კარგი მაძღარი, მაგრამ ამის საფასურად, ვითომ, გვაიძულებს უარი ვთქვათ საკუთარ ღირებულებებზე, რითაც ადამიანი ადამიანია. ანუ, უარი თქვი ადამიანობაზე, გახდი ცხოველი და იქნები მაძღარი — ეს არის ამ კლიპის შემოქმედების მესიჯი. ახლა, ვნახოთ რას ამბობს რუსული პროპაგანდა ამის საწინააღმდეგოდ: დასავლური ქცევის და ცხოვრების მოდელი ზუსტად ეს არის. ანუ, რუსები იმას ამბობენ, რასაც ამ კლიპში ქადაგებენ. რა თქმა უნდა, ორივე ფორმულირება არასწორია. ამ ორ ბოდვით იდეოლოგიურ წინააღმდეგობაში ჩართულია მთელი საზოგადოება, რაც მათ საშუალებას არ აძლევს ჩამოყალიბდნენ და საკუთარი ინტერესები ადეკვატურ დისკუსში გამოხატონ. მედიაშიც სწორედ ამასთან გვაქვს საქმე. დავაკვირდეთ, რა ხდება: მუდმივად, არჩევანის წინაშე ვართ — ან ეს ან ეს, ან ერთი აბსურდი ან მეორე. ბოლო 25 წელია ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვედით: ან იმისტი ხარ, ან ამისტი, ან მედასავლეთე ხარ ან რუსეთუმე. ამის ყურება ძალიან ძნელია. ეს პოლარიზაცია, რომელიც მენტალური პრობლემაცაა და პირდაპირ ამ 25 წლიანი ზომბირების შედეგადაა ჩანერგილი, არ იძლევა საშუალებას ქვეყანაში რაღაც პოზიტიური შეიქმნას. ეს უმძიმესი პრობლემაა. იგივე სიტუაციაა ნატოს მხრივაც: გვიღებენ თუ არ გვიღებენ. თუ იტყვი, რომ ნატოში არ გვიღებენ ე.ი. რუსეთუმე ხარ. თუ იტყვი, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დავალაგოთ, ისევ რუსეთუმე ხარ, ანუ, ნატოს წინააღმდეგი. ახლა, ევროატლანტიკურ მისწრაფებას კონსტიტუციაში წერენ. ეს როგორ შეიძლება?! ეს ხომ უკვე ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხია და არა სამართლებრივი. აბსოლუტურად გაუგებარია. ნატო რა მარადიულია? ხვალ რომ დაიშალოს, მერე რას შვებიან? განა შეიძლება, ნატოსთან დაკავშირებით, გაითვალოს რა მოხდება ერთ ან ხუთ წელიწადში? როგორ შეიძლება კონსტიტუციაში სადღაც შესვლა ჩაწერო. როცა შეხვალთ, მერე უნდა ამოვიღოთ ეს მუხლი კონსტიტუციიდან თუ რა უნდა ვქნათ? მეორეც, ძალიან მეეჭვება, ნატომ საქართველო თავის რიგებში მიიღოს. იქ, პრაგმატული ადამიანები არიან, რეგიონში ძალთა განლაგება კარგად იციან. შესაბამისად, როცა აიღებენ ვალდებულებას, მართალია ბოლო დროს ეს აღარ არის მაინცდამაინც იმპერატიული ნატოსთვის, მაგრამ ვალდებულნი არიან ეს სახელმწიფო დაიცვან. წარმოვიდგინოთ ვითარება, საქართველო დაპირისპირებაში აღმოჩნდეს და ნატომ ის უნდა დაიცვას. ასეთ შემთხვევაში, ცხრაჯერ დაფიქრდებიან და ერთხელ გაჭრიან. მით უმეტეს, რუსეთთან ჩვენი დაპირისპირების ფონზე. გარდა ამისა, საქმე ისაა, რომ ნატოში



გადაწყვეტილებები კონსესუსის საფუძველზე მიიღება და საეჭვოა გერმანია, საფრანგეთი, ზოგადად, ძველი ევროპა ამ გადაწყვეტილებას როდესმე დაეთანხმონ თანაც, თუ რუსეთთან მათ ურთიერთობებს გავითვალისწინებთ. აქვე, უმთავრესი: ანგარიშიდან არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოვწეროთ რუსეთი, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნატოში ჩვენს გაწევრიანებას და თუ ამის განხორციელების შესაძლებლობას დაინახავს თავის იმპერიულ მექანიზმებს მაშინვე ჩართავს. მეეჭვება, რეგიონში ვინმეს ამის საპირწონე ძალა ჰქონდეს, მით უმეტეს, როდესაც რუსეთს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს თურქეთთან. რასაც ამჟამად, ვხედავთ. რუსეთი სტრატეგიულად თანამშრომლობს ირანთანაც. რუსეთის დაზვერვა საქართველოში ძალიან ძლიერია. სხვა თემაა, პოლიტიკური გავლენა. მაგრამ რუსული დაზვერვა რომ ძალიან ძლიერია და საქართველოში სერიოზული დესტაბილიზაციის მოხდენა შეუძლია, ეს სადაო და საეჭვო არ არის.

**— ამ ვითარებიდან რა გამოსავალი არსებობს?**

— ამ ვითარებაში, გამოსავალი, ნაკლებადაა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი პოლიტიკური ელიტის უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. საქართველოში, ამ ეტაპზე, რაიმე ტიპის დამოუკიდებელი პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბება, ფანტასტიკის სფეროა. აქედან გამომდინარე, გვაქვს ის რაც გვაქვს. თუმცა, ვითარება შეიძლება უცებ შეიცვალოს. ვინაიდან სისტემა რაც ჩამოყალიბებულია, მორალურად იმათაც კი ახრჩობთ, ვინც ამ სისტემის ბენეფიციარები არიან. სულის შემხუთველია განუწყვეტელი ზნეობრივი კოლაფსის, დამბლის მდგომარეობა, წარმოუდგენელი სიუჟეტები ციანიდის საქმით დაწყებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის თავს გადამხდარი ამბით დასრულებული. მიმდინარეობს სირცხვილების განუწყვეტელი სერიალი, რასაც ბოლო არ უჩანს. მოდით, ისე ვიმოქმედოთ, რომ დამღუპველი კანონები არ მიიღონ და სასიცოცხლო არეალი არ მოგვესპოს.

**— სოსო, აღნიშნეთ, მეეჭვება ნატოში მიგვიღონო, ისიც თქვით, აშშ-ს რუსეთთან საქართველოს დაახლოება არ აწყობსო. პარალელურად, ვხედავთ, რომ თურქეთმა, აზერბაიჯანმა პირი რუსეთისკენ იბრუნეს და**





**დასავლეთს ზურგი აქციეს. დასავლეთი საქართველოს „დაკარგვის“ საშიშროების წინაშეც ხომ არ დგას და ხომ არ შეეცდება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით ნატოში გაწევრიანება შემოგვთავაზოს?**

— რა თქმა უნდა, ეს მათ ინტერესებში შედის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამას რუსეთი არ დაუშვებს. რუსეთს ჩვენს მიმართ ასეთი პოლიტიკა აქვს: ის რაც ავიღე, მოვიპოვე ჩემია, აქ, ჩემს პოლიტიკას, ეკონომიკურ ინტერესებს განვახორციელებ, არ დავუშვებ საქართველოში ნატოს ძალების განლაგებას, ბოლომდე დაგანგრევთ. ანუ ნატოში გაწევრიანების ილუზიები არ უნდა გვქონდეს. რუსეთი, ამ ეტაპზე, არანაირად არ არის განწყობილი ჩვენი ინტერესი გაითვალისწინოს. ამას არაფრით დაუშვებს, პირიქით, უფრო მეტით გვემუქრება, კერძოდ, იმით, რომ აურევს სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთს, აჭარას, ასევე, გვემუქრება პოლიტიკური დესტაბილიზაციით. აი ესაა რუსეთის პოლიტიკა. ილუზიებს თავი დავანებოთ. საქართველოში რუსეთის პოლიტიკის გამტარი არის სომხეთი, რომელიც ამიერკავკასიაში მისი ძირითადი მოკავშირეა. ეს დიდი იმპერიული პოლიტიკაა და ეს ინსტრუმენტები არ გაცვეთილა. რაც შეეხება აზერბაიჯანის და თურქეთის, ორი სამყარო — თურქულ-აზერბაიჯანული, დიდი თურანის ისლამური და ირანული სახელმწიფოების ხაზი ერთმანეთს საქართველოში კვეთს, ხომ? საქართველო ამ ორი სამყაროს იზოლატორს წარმოადგენს, რომელიც განუწყვეტელი დაძაბულობისგან ვიწროვდება, იცრიცება. თურქეთთან რუსეთის დაახლოება იმან გამოიწვია, რომ თურქებმა გააცნობიერეს, ქურთისტანის საკითხი მათ სახელმწიფოს, ბოლოს და ბოლოს, ეგზისტენციალური საფრთხით ემუქრება. იქ, თურქეთის სახელმწიფოს ერთიანობის თვალსაზრისით, ძალიან სერიოზული პრობლემებია.

შესაბამისად, თურქეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა რუსეთთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა და სტრატეგიული დაახლოებისკენ აიღო გეზი. თუმცა, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს დათბობა და ჩვენზე რა გავლენას იქონიებს, არავინ იცის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, საქართველოს ხარჯზე, გარკვეული ინტერესების გადანაწილება არ მოხდეს. ასევე, მნიშვნელოვანია აჭარის საკითხი. ანუ, სანამ რეგიონში ზავია და ჩვენს ტერიტორიაზე ზე-სახელმწიფოები არ ომობენ, ამას ჩვენი ეკონომიკურად, კულტურულად გაძლიერებისთვის უნდა ვიყენებდეთ.

**— სოსო, არადა საქართველოში ბევრი პოლიტიკოსი, ექსპერტი ამტკიცებს, რომ რუსეთმა თავი დაგვანება, რაც უნდოდა უკვე მიიღო. რეალობა როგორია?**

— ეს სასაცილოა. ის რომ რუსეთი დეკლარირებულად არ ამბობს რაღაცას და ვითარებას არ ამწვავებს, პირიქით, ნიშნავსიმას, რომ ე.ი. იგი გასაიდუმლოებულად მუშაობს. რას ნიშნავს, საქართველო არ აინტერესებს? როგორ შეიძლება რუსეთს არ ვაინტერესებდეთ. ყველაზე მოწყვლადი რუსეთი კავკასიის მხრიდან არის.

**— სოსო, როგორც აღნიშნეთ მუდმივად არჩევანში ვართ — ან პრო-რუსული, ან პრო-დასავლური. პრო-ქართულზე როდის ვიფიქროთ და როდის ავასრულოთ ილიას ანდერძი — ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო?**

— მაგაშია პრობლემა. ნებისმიერი მცდელობა რუსეთუმესა და მედესავლეთეს შუაში გავლისა იწვევს იმას, რომ ორივე ფლანგი ურტყამს მას, ვინც ამას ცდილობს. ორივე ფლანგი მართვის სქემაში ზის ისე, რომ ზოგმა ეს თვითონაც არ იცის. ადამიანის მენტალობისთვისაც ადვილია თქვას — ან ის ან ეს იმიტომ, რომ ეს შავ-თეთრი აზროვნება ადვილია და ჩვენთვის დამახასიათებელია ვინაიდან რაციონალური აზრობრივი განხილვა და ჭვრეტა ნაკლებად მოთხოვნადია. ძირითადად, სადღეგრძელოები, ემოციური შეძახილები გვახასიათებს და მოგვწონს, რაც ჩვენი მენტალური სახეა. ისტორიას თუ გადავხედავთ, ქართველების ბრძოლა ასეა ასახული — გაუმარჯვდათ და დაუმარცხდათ. ანუ, შემომეჭამა, შემომელახა. ყოველივე ენაშიცაა ასახული და ჩვენს მენტალობას ჰგავს. ეს რეალობაა. შევხედოთ, როგორ ადამიანებს აქვთ პოპულარობა, დავაკვირდეთ და მივხვდებით, რატომ ვართ ასეთ მდგომარეობაში.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დონალდ ტრამპი:
# ჩვენ დავამარცხებთ ამ საშინელ მოვლენას, ტერორიზმს, რომელიც ასე დიდხანს გაგრძელდა!

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში შაბათს განხორციელებულმა ტერაქტმა მსოფლიოში მიმდინარე თითქმის ყველა პოლიტიკური პროცესი გადაფარა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორ თვეში „ნისლიან ალბიონზე“ ეს უკვე მესამე ტერორისტული აქტი გახლდათ. მომხდარმა ტრაგედიამ განსაკუთრებით ევროპელების შეშფოთება გამოიწვია, თუმცა პოლიტოლოგები ევროპაში დასადგურებულ ქაოსს წამყვანი ქვეყნების ლიდერების გულგრილობას მიაწერენ. მიმომხილველებმა გაიხსენეს მაისის დასაწყისში ანგელა მერკელის ვიზიტი რუსეთში. იგივე მიმომხილველები და პოლიტოლოგები ახლაც გაკვირვებულები არიან, რომ ფრაუ მერკელმა პუტინთან შეხვედრისას მთავარ თემად წინ წამოსწია რუსეთ-





ში სექსუალურ უმცირესობათა საკითხი და ჩეჩენი გეი-ახალგაზრდის ბედით დაინტერესდა, ნაცვლად იმისა, რომ მსოფლიოში გამძვინვარებულ ტერორიზმსა და სხვა აქტუალურ თემებზე გაემახვილებინა ყურადღებაო, აცხადებენ პოლიტოლოგები.

ლონდონის ტერაქტს აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გამოეხმაურა. მან მიუსამძიმრა ბრიტანელებს და განაცხადა: „უკვე დროა, ევროპელებმა დაასრულონ პოლიტკორექტულობა და რეალობიდან გამომდინარე იმოქმედონ. ჩვენ დავამარცხებთ ამ საშინელ მოვლენას, ტერორიზმს, რომელიც ასე დიდხანს გაგრძელდა“.

დიდ ბრიტანეთში 8 ივნისს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია. როგორც გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ განაცხადა, მომხდარი ტერაქტის მიუხედავად, არჩევნები აუცილებლად გაიმართება. მსგავს დაძაბულ ვითარებაში რომელი პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებს, ექსპერტებისთვის ბუნდოვანია.

და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც თან ახლდა ლონდონის ტერაქტს. როდესაც დამნაშავეთა მანქანა დამცავ ჯებირს დაეჯახა და გაჩერდა, ტერორისტები დანა-ხანჯლებით დაერივნენ ფეხით მოსიარულეებს. ბარ-რესტორნებში მყოფი ხალხი არ დაიბნა და მათ ბოთლები და სკამები დაუშინეს. ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა ევროპაში, როდესაც პოლიციის მისვლამდე ხალხმა გაუწია წინააღმდეგობა ტერორისტებს.

დონალდ ტრამპი ცდილობს, განახორციელოს თავისი წინასაარჩევნო დაპირებები. მან კვლავ მიმართა უმაღლეს სასამართლოს, 7 ქვეყნის მოსამართლეებს (რომლებიც არასაიმედოდ მიაჩნია) მოქალაქეებს შეეზღუდოთ აშშ-ში შესვლა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ, მიუხედავად ტრამპის მცდელობისა, იხელმძღვანელოს თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგეები ყველანაირად ცდილობენ მის დისკრედიტაციას, მათ შორის, ტელევიზიაც. ერთ-ერთმა ტელეწამყვანმა ქალმა თავის გადაცემაში, პირდაპირი ეთერის დროს ტრამპის მოჭრილი, გასისხლიანებული თავის გამოსახულების თოჯინა საკუთარი ხელით უჩვენა მაყურებელს. მსგავსება იმდენად დიდი გახლდათ, რომ ფაქტმა ტრამპის უმცროსი ვაჟი გულწრფელად შეაშინა. ჟურნალისტის არაეთიკურმა საქციელმა ტრამპის ადმინისტრაციის აღშფოთება გამოიწვია. შედეგად ჟურნალისტი სამსახურიდან დაითხოვეს. საინტერესოა, რომ ტელეწამყვანი შემდეგ საქვეყნოდ წუწუნებდა: „ნახეთ, რა ცუდი ადამიანია ტრამპი, კარიერა დამინგრიაო“.

დონალდ ტრამპის ევროპააზიის ვიზიტი წარმატებული რომ გახლდათ, ორი კვირის გასვლის შემდეგაც კიდევ ერთხელ დადასტურდა. ეკონომიკური საკითხები ცალკე თემაა. როგორც ჩანს, არაბული ქვეყნები ტერორიზმთან ახლებურად აპირებენ ბრძოლას. სამი დღის წინ ეგვიპტის დედაქალაქში არაბული ქვეყნების ლიდერები იყვნენ შეკრებილები. სამიტის დეტალები ჯერჯერობით არ ვრცელდება, მაგრამ შედეგი უკვე ცნობილია. რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის, საუდის არაბეთმა, ეგვიპტემ, არაბთა გაერთიანებულმა საემიროებმა ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს ყატართან. მიზეზად ამ ქვეყნის ალ-ქაიდასთან, „იგილთან“ და სომალელ ტერორისტებთან კავშირი დაასახელეს. ექსპერტებსა და პოლიტოლოგებს ამ საკითხზე საკუთარი აზრი ჯერ არ გამოუთქვამთ, მაგრამ უცხოელი მიმომხილველები ამ ფაქტს ტრამპის არაბეთში ვიზიტს უკავშირებენ.

ყატარი, მართალია, პატარა, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. ამასთან, ეს ქვეყანა 2022 წლის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელია. გასახსენებელია ის ფაქტიც, რომ ყატარში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებამ ბევრი კითხვა გააჩინა ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ. ერთ-ერთ მიზეზად სპეციალისტები ქვეყანაში მაღალ ტემპერატურას ასახელებდნენ. როდის და როგორ უნდა ითამაშონ გუნდებმა აუტანელ სიცხეში, დღემდე გაუგებარია. თუმცა, მასპინძლად დასახელებისთანავე „ბოროტი ხმები“ ამბობდნენ, რომ საამისოდ იქაურმა მილიარდერებმა საკმაოდ სოლიდური „მაღარიჩები“ ჩამოურიგეს ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციის იმდროინდელ მაღალჩინოსნებსო. ახლა რაიმეს მტკიცება ძნელია, მაგრამ ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება.

სპორტი სპორტად, მაგრამ რას მოუტანს სრული იზოლაცია ამ პატარა უმდიდრეს ქვეყანას, შორიდან ძნელი სათქმელია, მაგრამ მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, კარჩაკეტილობას კარგი არასოდეს არაფერი მოუტანია. სანქციების ხანგრძლივად გაგრძელების შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონატის ყატარში გამართვა, სავარაუდოდ, სათუო გახდება.

**გია ბურდული**
551 71 27 07



## გოგი თოფაძე:

# თუ მიწა არ შევინარჩუნეთ, თუ მრეწველობა არ ავამუშავეთ და სოფელი არ ავაღორძინეთ, ვერც ხალხს დავასაქმებთ, ვერც ემიგრანტებს დავაბრუნებთ და არც არაფერი გვეშველება...



**სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისებასთან დაკავშირებით დაწყებული პოლემიკა დღემდე გრძელდება, ამიტომ დავინტერესდით, რას ფიქრობს ამ თემაზე ადამიანი, რომელიც ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზას მრეწველობის აღორძინებაში ხედავს და რომელმაც 2014 წელს, თავის გუნდთან ერთად, უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადებას მიაღწია. გოგი თოფაძემ ქართული ლუდის წარმოებას იმ დროს ჩაუყარა საფუძველი, როცა საქართველოში ეკონომიკის მიზანმიმართული ნგრევა იწყებოდა და საწარმოები ერთმანეთის მიყოლებით იხურებოდა. 1999 წელს ვითარების გამოსწორებისა და ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღების მიზნით, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, შექმნა პოლიტიკური პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და პარლამენტში შევიდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მრეწველები უკვე კოალიციური უმრავლესობის ფარგლებში ცდილობდნენ საკუთარი პოზიციის გახმოვანებას. მათი საკანონმდებლო ინიციატივით, საქართველოში ცოცხალი, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემოტანა და წარმოება აიკრძალა. სავალდებულო გახდა მარკირება და სავაჭრო ობიექტებში შესაბამისი წარწერების მქონე გენმოდიფიცირებული ნაწარმი ცალკე განთავსდა. რაც შეეხება 2014 წელს მრეწველების ინიციატივით, უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადებას, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ მორატორიუმი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა, რასაც მიწის შეძენაზე დაწესებული დროებითი აკრძალვების არაკონსტიტუციურად ცნობა და გააუქმება მოჰყვა და ეს საკითხი ჯერჯერობით, გადაუწყვეტელია. „საერთო გაზეთს“ პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერი გოგი თოფაძე ესაუბრა:**

— „იყიდება საქართველო მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავლის სვე-ბედით, მშვენიერი ენით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით, ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართმოყვარეობით.. “ — ეს ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის მიერ 100 წლის წინ დაწერილი სტრიქონებია, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა, რადგან იგივე მტერი, რომელიც მაშინ გვებრძოდა, ახლაც გვებრძვის.

2012 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა საქართველოს კანონმდებლობაში უცხოელებზე საქართველოს მიწის გაყიდვის შესახებ არსებული ყველა შეზღუდვა, რის შემდეგაც უცხოელებზე ასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთი გასხვისდა. ჩემი მონაცემებით, მარტო 2013 წელს საქართველოში მიწა 984-მა ინდოელმა იყიდა. ირანელები, არაბები და თურქები კიდევ სხვაა.. კატასტროფული სიტუაციაა აჭარაში, რაზეც არავინ ლაპარაკობს. მოკლედ, მიწის გაყიდვა ისეთი ტემპებით დაიწყო, რომ აუცილებელი გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში მიწების შესყიდვაზე მორატორიუმის დაწესება. ამიტომ ჩვენმა ფრაქციამ შეიმუშავა პროექტი, რომელშიც მკაფიოდ იყო გაწერილი, რომ ისეთ მცირემიწიან ქვეყანაში, სადაც სახნავ-სათესი, სავარგული თუ საძოვარი მიწები ადგილობრივ ფერმერსაც აკლია, უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვა აკრძალულია. ეს კანონპროექტი იმისგან მაინც იცავდა გლეხს, რომ იპოთეკაში ჩადებული მიწა არ გაეყიდა, მაგრამ როგორც კი პარლამენტში კანონის განხილვა დავიწყეთ, ბანკებმა კლიენტებზე შეტევა გააძლიერეს — ვალს თუ სასწრაფოდ თუ არ გადაიხდით, გირაოში ჩადებულ მიწას წავიღებთო. ამასობაში, საკონსტიტუციო სასამართლომ მორატორიუმი გააუქმა.

**— გამიგია, რომ თავის დროზე, ერთმა ჩვენმა თანამოქალაქემ კუმისის მეურნეობის მიწის ხელში ჩაგდება მოახერხა. ეს მიწა 2000-3000 კვადრატულ მეტრებად დაანაწილა და ასე ნაწილ-ნაწილ არაბებს მიჰყიდა. კუმისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე 30-მდე არაბია რეესტრში გატარებული. თქვენი აზრით, რა მაქინაციებით მოახერხეს არაბებმა ქართული მიწის ყიდვა?**

— არ ვიცი, როგორ მოახერხეს, მაგრამ ვიცი, რომ მიწის გაყიდვა ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანას პრაქტიკულად, აკრძალული აქვს ან ისეთი მკაცრი რეგულაციები აქვს დაწესებული, რაც თითქმის აკრძალვას ნიშნავს. მაგალითად, უნგრეთს, ავსტრიას, შვედეთს და კიდევ ბევრ ქვეყანას ისეთი რეგულციები აქვთ, რომ ძალიანაც რომ გინდოდეს, მიწას ვერ იყიდი. გეუბნებიან, შემოდი, ათი წლის მანძილზე დაამუშავე, მაგრამ ყიდვით ვერ იყიდიო. ჩვენი უბედურება ახლა კი არა, 90-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. მაშინ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები და მრჩევლები პირდაპირ გვეუბნებოდნენ, თქვენ სოფლის მეურნეობა და წარმოება აღარ გჭირდებათ, იმიტომ, რომ ტექნოლოგიებს ჩამორჩით და კონკურენტუნარიან პროდუქციას ვეღარ შექმნით, ამიტომ გეზი სატრანსპორტო დერეფანის, ბაქო-ჯეიჰანისა და ტურიზმისკენ უნდა აიღოთო. აშკარა იყო, რომ პატივცემულ მრჩევლებს თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ და საქართველოს ავ-კარგი არ ადარდებდათ, ამიტომ სავალუტო ფონდის ხელმძღვანელთან შადმან ვალავისთან ამ თემაზე ხელჩართული ბრძოლა მქონდა. რა თქმა უნდა, ჩვენი „რევოლუციონერები“ ყველაფერს დათანხმდნენ და ამის შედეგია, რომ აღარც წარმოება გვაქვს, სოფლის მეურნეობაც განადგურებულია და ხალხიც ქვეყნიდან გარბის. როცა გვითხრეს სოფელი და სოფლის მეურნეობა არ გჭირდებათო, მიწის გაყიდვა უკვე მაშინ ჰქონდათ გადაწყვეტილი. ეს იყო კარგად გათვლილი გეგმა, რომელიც ჩვენამდე ვენესუელასა და რამდენიმე სხვა ქვეყანაში განახორციელეს. თუ სოფელი არ გინდა, არც მიწა გჭირდება, მიწას კი უპატრონოდ არავინ დატოვებს და ის მოიხმარს, ვისაც ჭირდება. არ დაიჯეროთ, რომ ქართველი კაცი ზარმაცია, რადგან ჩაისა და ვაზის მოვლას ძალიან დიდი შრომა და მოთმინება ჭირდება. ქართველი შრომისმოყვარეა, თუ თავისი შრომის ნაყოფს ხედავს, მაგრამ ამათმა ყურძნის ფასი 25 თეთრამდე ჩამოიყვანეს და გლეხებს ათასობით ჰექტარზე ვაზი ააჩეხინეს. საქართველოში ვაშლი აღარ არის, ჩაის პლანტაციები გაანადგურეს. ახლა არაბეთში 50 დოლარი ღირსო და ცხვარი გაჰყავთ. ამასწინათ, 6 მანქანა იყო ჩამოსული და ახლად დაბადებული ციკნები ერთიანად წაიყვანეს. ასე თუ გაგრძელდა,



შადმან ვალავი

ცხვრის გარეშეც დავრჩებით. თუ აღარც მიწა გვექნა, აღარც წარმოება და პროდუქცია, რაღა ქვეყანა ვიქნებით? დავით აღმაშენებლის სახელმწიფოსგან 20% დაგვრჩა და ისიც თუ გავასხვისეთ, ისტორიაში სამარცხვინო თაობის სახელით შევალთ და შთამომავლობის საგინებელი გავხდებით.

**— თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიყიდვის აკრძალვა ქვეყნის ეკონომიკას და საინვესტიციო გარემოს დააზიანებს.**

— ქვეყნის ეკონომიკას და მთლიანად მომავალს მიწის შენარჩუნება კი არა, წარმოების მოშლა და სოფლის მეურნეობის განადგურება დააზიანებს. გერმანელებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიზნად დაისახეს, რომ ყველა პროდუქცია თავის ქვეყანაში ეწარმოებინათ.



ასეა ევროპის უამრავი ქვეყანა. ჩვენ არაფერს ვაწარმოებთ, 80% გარედან შემოგვაქვს და მიწის გაყიდვით გვინდა „აყვავება“? 6 მილიონამდე ვიყავით და საკუთარ მიწაზე მოწეული ყველაფერი გვყოფნიდა. ახლა ხორციდან დაწყებული, ნიორით დამთავრებული, ყველაფერი შემოგვაქვს. ესა ტრაგედია, რომელიც ჩვენს ქვეყანას მიზანმიმართულად დაატეხეს თავს. რომელი ეკონომიკის გაძლიერებაზე ვლაპარაკობთ, როცა ქვეყანაში არსებული 120-მდე საკონსერვო ქარხნიდან დღეს ერთი აღარ გვაქვს. ტყეში პანტა არ გვრჩებოდა დაუკრეფავი და დაუმუშავებელი და ჩვენი პროდუქცია იაკუტიამდე იგზავნებოდა, რამდენიმე წლის წინ კი ლაგოდეხელ გლეხებს ტრანსპორტირების ფული რომ არ ჰქონდათ, მოსავალი თითქმის დაულპათ. თითო ტომარა ხახვს ორ ლარად ყიდდნენ, წარმოგიდგენიათ? საქართველოში ეთერზეთების წარმოებისთვის 15 მეურნეობა გვქონდა. სრულიად ახალგაზრდამ დავიწყე პარფუმერიის ფაბრიკაში მუშაობა, სადაც კბილის პასტებს, სუნამოებს, საპნებს, შამპუნებს და ათას პროდუქციას ვაწარმოებდით. ფაბრიკის პროდუქციის 90% ექსპორტზე იგზავნებოდა. ჩვენი ვარდის, აზალიას და ჟასმინის ზეთზე უზამაზარი მოთხოვნა იყო. ფრანგებს აქედან ჩვენი მუხის ხავსი მიჰქონდათ და სუნამოს ურევდნენ, რომ ხანგრძლივი და მდგრადი არომატი ჰქონოდა. ამ თემაზე დისერტაცია მაქვს დაცული და კარგად ვიცი, რასაც ვამბობ. დამპალი ხორცისა და ბარკლების შემოტანას რომ ლობირებენ, ამ დარგის აღორძინებით რატომ არავინ ინტერესდება? თურქები თავიანთ წარმოებას სუბსიდირებას უკეთებენ და ეხმარებიან, რომ საქართველოში კვერცხი და ქათამი შემოიტანონ, ქართული ქათმის წარმოება კი სულს ღაფავს. თუ ქვეყნის პატრიოტი ხარ და სამშობლოზე ზრუნავ, დაეხმარე ამ ხალხს, რომ ქართული წარმოების პროდუქცია გქონდეს. მოაწესრიგე საგადასახადო სისტემა. შეიძლება, რომ ერთნაირინ გადასახადი დაუწესო დამპალი ხორცი შემომტანს და გლეხს, რომელიც ოჯახში





გაზრდილ საქონელს ყიდის? კი ბატონო, ახალი ხელისუფლების პირობებში გზები დიგო, რამდენიმე ახალი საწარმო აშენდა, შეიქმნა ფონდი „აწარმოე საქართველოში“, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ევროპაში უკვე დაიწყეს და მალე ჩვენთანაც აიკრძალება პოლიეთილენის ბოთლები, რომლებიც უზარმაზარ ეკოლოგიურ პრობლემებს ქმნის. ბუნებრივია, გაიზრდება მოთხოვნა მინის ტარაზე. ადრე 5 მინის ქარხანა გვქონდა, რომლებშიც 8000 კაცი იყო დასაქმებული. ახლა მცხეთის რაიონში ერთადერთი თურქული ქარხანა მუშაობს, რომელიც მოთხოვნის მხოლოდ 20-25% აკმაყოფილებს. დანარჩენი სომხეთიდან, აზრბაიჯანიდან და თურქეთიდან შემოგვაქვს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ იმ სომეხსაც, აზერბაიჯანელსაც და თურქსაც მინის მთავარი შემადგენელი ანუ სილა საჩხერიდან მიაქვს. რატომ კაცო? ნუთუ ასეთი უნიჭოები ვართ, რომ ნედლეული გავატანოთ და პროდუქცია ათმაგ ფასში შევიძინოთ? ადრე თუ ვაკეთებდით, ახლა რა გვიშლის ხელს? ხალხი ქვეყნიდან გარბისო, რომ გავიძახით, წარმოება თუ არ ავაგუგუნეთ, სოფლის მეურნეობა თუ არ გავაძლიერეთ და პირიქით, მიწები გავყიდეთ, ვერც ხალხს დავასაქმებთ, ვერც ემიგრანტებს დავაბრუნებთ და არც არაფერი გვეშველება.

**— ყოველი ახალი ხელისუფლება წინამორბედის ლანძღვით და კრიტიკით იწყებს და შემდეგ მის პოლიტიკას აგრძელებს. ალბათ, მოჯადოებულ წრეზეც ამიტომ ვტრიალებთ.**

— მე რასაც ვხედავ, აზერბაიჯანში მამა ალიევი იყო თუ შვილი, ორივე ქვეყნის პატრიოტია, ქვეყნის სიყვარული არც სომხეთის პრეზიდენტებს აკლდათ და ჩვენ რა გვემართება ვერ გამიგია. პატრიოტობის არც შევარდნაძეს და არც სააკაშვილს არაფერი ეტყობოდათ. ესენი იყვნენ ქვეყნის გაყიდვაზე გადასული ხალხი. შეიძლება სახელმწიფო არსებობდეს და არ ჰქონდეს განვითარების კონცეფცია? რომ ამბობენ ინვესტიცია შემოვიტანეთო, სად არის? შევარდნაძე საქართველოში რომ ჩამოვიდა, ხუთი ბანკი გახსნა და



ამ ბანკებით ძარცვა მთელი საქართველო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს სხვა რესპუბლიკების მსგავსად, თავისი წილი – 32 მილიარდი მანეთი ერგო. იცით ეს ფული სად წავიდა? შევარდნაძემ წელს ვერა, მაგრამ მომავალ წელს გაორმაგებულს მოგცემთო, „მომავალ წელს“ კი უკვე კუპონი იყო მიმოქცევაში. რომელ ფულზეა საუბარი, როცა შევარდნაძეს იმაზეც არ უგია პასუხი, რომ სოხუმში მშვიდობიანი მოსახლეობა დააბრუნა და ეს უიარაღო ხალხი რუსულმა ჯარებმა და ჩრდილო კავკასიური ბანდებმა ამოწყვიტეს? 1987 წელს სოროსი გამოგვეცხადა, აკრიფა აქედან კოსმოპოლიტი და უეროვნებო ხალხი, წაიყვანა ამერიკაში, თავის ჭკუაზე მოამზადა და ხელისუფლებაში დაგვისვა. მეტი რა უნდა უქნა ამ პატარა ქვეყანას? კიდევ ერთი თემა, რომელიც ძალიან მაწუხებს. ინვესტორებს რომ ვეძებთ და ხან არაბი და ხან ჩინელი ინვესტორი მოგვყავს, რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს რატომ არ ვეძახით? რამდენიმე ქართველი ბიზნესმენი ვიცი, ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ, ჭუბერზე ჯიბეგამოფხეკილები რომ გადავიდნენ და მილიონები იშოვეს. ამბობენ დაგვიძახეთ და სამშობლოს გამოვადგებითო და ახლოს არ იკარებენ. ერთ ქართველ ბიზნესმენს ვიცნობ, რომელიც საქართველოში შიმშილობის დროს ჩამოვიდა და შევარდნაძეს უთხრა, თქვენი არაფერი მინდა, პურის ფქვილს ჩამოვიტან და მოსახლეობას უფასოდ დავურიგებო და არ მისცეს ამის უფლება. რატომ? ჩინელს და არაბს თუ აძლევ საქართველოში შემოსვლის და ინვესტიციების განხორციელების უფლებას, ქართველმა რა დაგიშავა? ჟურნალისტების მიმართ ჩემი პატივისცემის მიუხედავად, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ მედიაც ბევრს სცოდავს..

**— მედიასთან რა პრეტენზიები გაქვთ ბატონო გოგი?**

— ასეთ თემებზე ლაპარაკის ნაცვლად, ორი კვირაა მარტო ის გვესმის, რომ ორმა კაცმა რომ სადღაც კაფეში იჩხუბა და აზერბაიჯანელი ჟურნალისტი დაიკარგა. ცალკე თემაა ნატოში შესვლისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების თემა. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას მეტი საფიქრალი და სალაპარაკო არა აქვს? მშვენივრად იციან, რომ ნატოში არავინ მიგვიღებს, მაგრამ გამუდმებით ამაზე ლაპარაკობენ. როგორ ფიქრობთ, ისეთი მეზობლის ლანძღვა, რომლის პრეზიდენტის გარეშე პლანეტაზე არაფერი წყდება, სიკეთეს მოგვიტანს? რუსეთს რომ აფხაზეთის დატოვება უნდოდეს, გაგრაში ან სხვაგან ერთ კურორტს არ იყიდდა? მიდი, სცადე, დაელაპარაკე.. დიპლომატია ლანძღვა-გინების კი არა, საუბრის ხელოვნებაა, რომელსაც ჩვენი წინაპრები ჩვენზე უკეთ ფლობდნენ. რაც შეეხება ერთნაისქესიანთა ქორწინების დაკანონებას, ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება საქართველოში ასეთი თემა დააყენო? აზერბაიჯანში ვიღაცამ ეს თემა რომ წამოწიოს, შეიძლება ჩაქოლონ. კავკასიაში ჩვენი ძველი კულტურით და ისტორიით ყველა პატივს გვცემს და ამას რომ გააკეთებ, ვინ უნდა გცეს პატივი? მერწმუნეთ, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებით უცხოეთში ავტორიტეტს ვერ მოვიპოვებთ, მაგრამ მეზობლებში დავკარგავთ და იმ უგუნური თაგუნასავით დაგვემართება. ჯერ ჩვენთან იყო საპარლამენტო არჩევნები და ერთი თვის შემდეგ, ამერიკის შერთებული შტატების პრეზიდენტი აირჩიეს. პირიქით რომ ყოფილიყო, დღეს სრულიად სხვა სიტუაცია იქნებოდა ქვეყანაში. ამათი პოლიტიკით ჩვენ რუსეთს კი არა, საკუთარ ქვეყანას ვშორდებით და ამის დასტური ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობაა. მოსახლეობის მცირე, 1,6 ზრდა გვაქვს, მაგრამ ესეც სომხების და აზერბაიჯანლების ხარჯზეა, ქართველები კი უკან მივდივართ. ჩემმა მეგობარმა, ცნობილმა სპორტსმენმა და ბიზნესმენმა **რომან რურუამ** ძალიან კარგი აზრი მომაწოდა და საუბარს სწორედ მისი წერილით დავასრულებ: „უსამართლოა ყველაფერი, რაც ბუნებრივ კანონს და კანონზომიერებას ეწინააღმდეგება.

საზოგადოებას, როგორც მთლიან სისტემას, საკუთარი რეგენერაციის, თვითგანვითარებისა და თვითორგანიზაციის თანდაყოლილი უნარი გააჩნია. საკმარისია ამ სისტემაში ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფის მიერ მოგონილი ბუნებრივი კანონზომიერებისგან განსხვავებული, გაუაზრებელი კანონები დაინერგოს, რომ საზოგადოება, როგორც სისტემა სიცოცხლის უნარს დაკარგავს. შედეგად იმ საზოგადოებას მივიღებთ, რომელსაც დღევანდელი საქართველო ქვია. აქედან გამომდინარე, გასაგებია ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი, ბუნებრივი კანონზომიერების ანუ ბუნებრივი სამართლის უგულვებელყოფა და ვიღაცის მიერ საწერ მაგიდასთან გამოგონილი სიმართლის ანუ პოზიტიური სამართლის აღზევება.

ჩვენ არ ვითვალისწინებთ ერთ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ როგორც არ არსებობენ აბსოლუტურად იდენტური ადამიანები, ასევე გამორიცხულია ერების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს იდენტურობაც და შესაბამისად, ამ მრავალფეროვან, განსხვავებული თვისებების მქონე სისტემაში ერთი და იგივე სამართლის დანერგვა-დამკვიდრება ბუნების კანონზომიერებაში გაუაზრებელი, ხელოვნური ჩარევის ტოლფასია“...

ნელი თორდია
571 35 36 88

# ძლიერი რეგიონები



ბაღდათი

## ბაღდათი – ახალგაზრდული საბჭო ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში ერთვება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ადგილობრივი თვითმმართველობისა და საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-ის წარმომდგენლების შეხვედრა გაიმართა, სადაც ისაუბრეს თვითმმართველობასთან არსებული სათათბირო ორგანოს – ახალგაზრდული საბჭოს შექმნის შესახებ. საბჭოს ძირითადი მიზანია, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში ახალგაზრდების აზრის გათვალისწინების ხელშეწყობა და მათი აქტიურად ჩართვა ახალგაზრდული პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში. ახალგაზრდული საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს 18-29 წლის საქართველოს მოქალაქე, რეგისტრირებული ბაღდათის მუნიციპალიტეტში, რომელიც არ მუშაობს საჯარო სამსახურში.

პროექტის იდეის ავტორია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. მას საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision საქართველოს იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ახორციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

შეხვედრას ესწრებოდნენ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ გოგსაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ მაჩიტაძე და გამგეობის თანამშრომლები.

## 3 მილიონი ლარი ღორეშა-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციისთვის

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ღორეშა-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციის მიზნით, საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტის (GURAD) ფარგლებში, ტენდერი გამოცხადდა. სამუშაოების შემსყიდველი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდია.

კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება 2 803 439 ლარია.

პროექტის ფარგლებში, მობეტონდება 11 კმ გზა, რომლითაც ხარაგაული ბაზალეთი-სარგვეში-ღორეშა-უბისის მიმართულებით თბილისი-ლესელიძის ცენტრალურ მაგისტრალს დაუკავშირდება.

## მსჯავრდადებულთა და პრობაციონერთა მხარდასაჭერი პროექტი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში

წყალტუბოს საკრებულოს დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია ევროკავშირის პროექტისა „განათლება რეინტეგრაციისთვის – გზა საზოგადოებაში დასაბრუნებლად“, რომელსაც მართლმსაჯულების რეფორმის მხარდასაჭერად საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ ახორციელებს. მისი მიზანია მსჯავრდადებულების, ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერების შესაძლებლობების გაძლიერება და მათი ფინანსური მხარდაჭერა.

ასეთი კატეგორიის საქართველოს მოქალაქეები, კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, გაივლიან ტრენინგს სოციალურ/სამუშაოს მოძიების უნარებზე, აგრეთვე ბიზნესტრენინგს, პროფესიული გადამზადებისა და საწარმოო პრაქტიკის კურსებს. შეუძლიათ მიიღონ გრანტი: 400 ევრო – ხელსაწყოების შესაძენად თვითდასაქმებისთვის; 1200 ევრო – ბიზნესის დასაწყებად; 3000 ევრო – ძირითადი საშუალებების შესაძენად ბიზნესის გასაფართოებლად.

სოციალური მეწარმეობის კონკურსში იმერეთის მასშტაბით შერჩეული 23 აპლიკანტი გახდება ტრენინგის მონაწილე, ამათგან უმეტესობა მიიღებს ფინანსურ სარგებელს, დანარჩენი კი – რეკომენდაციას შემდგომი დასაქმებისთვის.

## დუშეთში ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები გაიმართა

5 ივნისს, ქ. დუშეთში, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებული კვირეულის ფარგლებში, დასკვნითი ღონისძიებები ჩატარდა.

ქალაქის ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა აქტივობა-ასფალტზე ხატვა, საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა მონაწილეობით, რომლებიც დასაჩუქრდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ. აღსანიშნავია, რომ აქტივობას აგრეთვე ესწრებოდა საქართველოს პირველი ლედი მაკა ჩიჩუა, შვილთან თემო მარგველაშვილთან ერთად.

ასფლატზე ხატვის შემდეგ, ქ. დუშეთის, ıı საჯარო სკოლის წინ, ე.წ. „ზებრა“ გადასასვლელი მოიხატა. მოხალისეების ინფორმაციით, აქტივობის მიზანია, ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის მასშტაბით 1 ივნისიდან მიმდინარეობდა, კვირეული ფარგლებში გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები,რომლებშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ბავშვები და შემსრულებლები.



დუშეთი

## გურჯაანში FLEA MARKET FAB-ი მოეწყო

გურჯაანმა Flea Market Fab-ს უმასპინძლა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, ადგილზე გაცნობოდნენ სხვადასხვა ხელნაკეთ ნივთს, დაეგემოვნებინათ კახური ღვინო, მოესმინათ სასიამოვნო მუსიკა და შეხვედროდნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელს.

Gurjaani Flea Market Fab-ი გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ახალგაზრდული საბჭოს ორგანიზებით მოეწყო.



ფოთი

## დედოფლისწყაროს ბიომრავალფეროვნების დასაცავად

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების დაცვისა და სოფლის მეურნეობაში კრიზისების მართვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც განიხილეს მოსახლეობისთვის მოსავლის აღების ორგანიზებისა და ქარსაფარი ზოლების ხანძრებისგან დაცვის საკითხები. შეხვედრას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, GIZ-ის საველე კოორდინატორი ამირან კოდიაშვილი და დედოფლისწყაროელი ფერმერები.

## ზუგდიდი – შამადელაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია იგეგმება

შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ მამუკა წოწერიამ მოსახლეობას სოფელში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტის, შამადელა-ნარაზენის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

სარეაბილიტაციო გზის სიგრძე 6 კილომეტრია, სიგანე – 5 მეტრი. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 2 880 000 ლარი და იგი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადაფინანსებით განხორციელდება.

## ფოთში სანიაღვრე სატუმბი სადგური შენდება

წლების განმავლობაში ქალაქის მასშტაბით მოქმედი შვიდი სატუმბი სადგური მოძველებული და ამორტიზებული იყო, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნიდა. ქალაქ ფოთში 2013 წლიდან დღემდე შვიდივე სატუმბ სადგურს რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ფოთში ბოლო ათი წლის განმავლობაში ახალი სატუმბი სადგური არ აშენებულა. ამჟამად მშვიდობის ქუჩაზე მიმდინარეობს სანიაღვრე სატუმბი სადგურის მშენებლობა, რომელიც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მოპოვებული გრანტის ფარგლებში ხორციელდება.

მიმდინარე სამუშაოებს ქალაქის მერი ირაკლი კაკულია და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნენ.

პროექტის ღირებულება 869 ათას 887 ლარს შეადგენს.

სატუმბი სადგურის მშენებლობა მარტში დაიწყო და სექტემბერში დასრულდება.

# ძლიერი საქართველოსთვის


მარტვილი

## მარტვილი – ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკა გაიხსნა

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლაში პროგრამა „მომავლის თაობის“ ფარგლებში ბიბლიოთეკა გაიხსნა. მასწავლებლებისა და მოსწავლეების მონაწილეობით კეთილმოეწყო გარემო და რესტავრაცია ჩაუტარდა წიგნებს. პროექტის მიზანია წიგნის კითხვის კულტურის ამაღლება. პროექტი „წიგნი – ნათელი მომავალი“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ათინათის“, „ლიბერთი ბანკისა“ და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობითა და თანადაფინანსებით განხორციელდა.

## სენაკში სამხატვრო გალერეის შენობის რეაბილიტაცია დაიწყო

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, მოადგილეებთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, სენაკის სამხატვრო გალერეაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდება შენობის შიდა ინტერიერი, განახლდება ფასადი, დამონტაჟდება სამუზეუმო განათების, გათბობისა და კონდიცირების თანამედროვე სისტემები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის ორივე სართულზე არსებული სამუშაო სივრცეებისა და სადემონსტრაციო დარბაზების სრული რეაბილიტაცია. პარალელურად იცვლება ელგაყვანილობისა და წყალმომარაგების ქსელები, იატაკი, ჭერი და კარფანჯრები.

სამუშაოების ღირებულება, რომელსაც რეგიონალური განვითარების ფონდი აფინანსებს, შეადგენს 126 080 ლარს. დასაქმებულია 25 ადამიანი. სამუშაოები მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და აგვისტოში დასრულდება.

1979 წელს აშენებული გალერეის შენობა ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლია.

## გზების მშენებლობა–რეაბილიტაცია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

დასრულდა წალენჯიხა-ჯვარზენის გზის 7,2 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. დაიგო ასფალტბეტონის საფარი, მოეწყო სანიაღვრეები, გადასასვლელები, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, კიუვეტები. ამჟამად მიმდინარეობს მოსაცდელების მშენებლობა. პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავდა ქალაქ წალენჯიხიდან სოფელ ოჭანეს, ზედა საჩინოს უბნამდე მონაკვეთს.

მეორე ეტაპის სამუშაოები კი ზედა საჩინო-ჯვარზენის მონაკვეთს მოიცავს და წელს დასრულდება (7,5 კილომეტრი). წალენჯიხა-ჯვარზენის გზა ბოლო 20 წლის განმავლობაში ამორტიზებული იყო.

ამჟამად მიმდინარეობს წალენჯიხა-ნაკიფუ-ჩხოროწყუს დამაკავშირებელი 8-კილომეტრიანი გზის მშენებლობა.

წელსვე დაიწყება, ობუჯი-ჯიხაშკარის დამაკავშირებელი 9-კილომეტრიანი გზის მშენებლობა.

მოწესრიგდება აგრეთვე წალენჯიხა-მიქავას დამაკავშირებელი 7-კილომეტრიანი გზა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში წელსვე დაიგება ასფალტბეტონის საფარი წალენჯიხაში – წურწუმიას, ადამიას, ფიფიას, სოხუმის მარჯვენა სანაპიროს, ხობელიას, სამეგრელოს, ტაბიძის, ქალაქ ჯვარში კი კოსტავასა და ყაზბეგის ქუჩებზე. 2013-2016 წლებში რეაბილიტირებულია 21 შიდა ქუჩა.

## ბორჯომი – გუჯარეთის ხეობაში მოსახლეობის დაბრუნებას ხელს გზაც შეუწყობს

ბორჯომის მუნიციპალიტეტში გუჯარეთის ხეობის მისასვლელი გზის აღდგენის მასშტაბური პროექტი დაიწყო. რამდენიმე დღეა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინიციატივით სოფლებამდე დამაკავშირებელი 15-კილომეტრიანი გზის გაწმენდისა და გაფართოების სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნული გზა წლებია დაზიანებულია, გარკვეულ მონაკვეთები კი პრაქტიკულად გაუვალი. ამ დროისთვის ადგილზე ინტენსიურად მუშაობს მძიმე ტექნიკა, სამუშაოები ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება, რის შემდეგაც მოსახლეობას გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები აღარ შეექმნება.

## რუსთავში სპორტულ–გამაჯანსაღებელი კომპლექსი გაიხსნა

გახნის ოფიციალურ ცერემონიაში, მიწვეულ სტუმრებთან ერთად, მონაწილეობდა ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში სეიედ ჯავად ყავამშაჰიდი.

კომპლექსი, რომელიც სხვადასხვა სახის თანამედროვე სავარჯიშო ინვენტარითა და სპორტული აქსესუარებითაა აღჭურვილი, ირანელი ინვესტორების მიერ დაფუძნებული შპს „RITM“-ის მიერ, დაახლოებით 400 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელების შედეგად გაიხსნა.

## დმანისი – სკრინინგ–ტესტირება

ზემო ოროზმანის მოსახლეობას C ჰეპატიტის უფასო სკრინინგ-ტესტირება ჩაუტარდა. მობილური ლაბორატორია დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ოროზმანის ამბულატორიის შენობასთან 12 საათიდან იყო განთავსებული და ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა საშუალება ჩაეტარებინა C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი. აღნიშნული აქტივობა განხორციელდა „C’ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის“ ფარგლებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის და ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობით. სკრინინგ-ტესტირება ჩაუტარდა 135 მოქალაქეს.

## თეთრიწყაროს საბავშვო ბაღებში გათბობის სისტემები მონტაჟდება

ცენტრალური გათბობის სისტემების სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 8 საბავშვო ბაღში: ქალაქ თეთრიწყაროს №1 და №2, დაბა მანგლისის, გოლთეთის, კოდის, ჯორჯიაშვილის, ხაიშისა და ბორბალოს საბავშვო ბაღებში. პროექტი ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით და მისი ღირებულება 113 603 ლარია. სამუშაოების დასრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, უახლოეს დღეებში დასრულდება.

## გორი – უფლისციხე ტურისტული სეზონისთვის ემზადება

გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრის ორგანიზებით უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში ხელნაკეთი ნივთებისა და ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. გამოფენაში მონაწილეობა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, თბილისსა და წეროვანში მცხოვრები ხალხური რეწვისა და ხელნაკეთი ნივთების ოსტატებმა მიიღეს.

სპეციალურმა ჟიურიმ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მონაწილეები გამოავლინა.


გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრის დირექტორის, რობერტ მაღლაკელიძის განცხადებით, გამოფენა უფლისციხეში არის დიდი მუნიციპალური გამოფენა-ბაზრობის წინამორბედი, ადგილობრივი მხატვრებისა და ღვინის მარნების პროდუქციის გამოფენები მომდევნო თვეებში მოეწყობა.

## შუახევის სოფლებში მეწყერული პროცესების შედეგებს ებრძვიან

გადაულებელი წვიმების შედეგად შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეწყერული პროცესები განვითარდა. შუბნის თემში მეწყერი ერთი კვირის წინ გააქტიურდა. მთა წუმპოდან წამოსულმა მიწის მასამ შუბნის თემში, წელათის, ტომაშეთის, შუბნის, დარჩიძეების, იაკობაურის, ქუთაურის, კობალთისა და ერდვათის 250-მდე ოჯახი გარესამყაროს მოსწყვიტა.

აქტიურად იწმინდებოდა ცენტრალური გზა საგზაო დეპარტამენტისა და გამგეობის ტექნიკით, მოსახლეობას გადაადგილების მხრივ პრობლემა არ შექმნია. გზის გაწმენდით სამუშაოებს დილიდან მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე აჭარის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროს არჩილ ჩიქოვანთან ერთად გაეცნო.


სენაკი

# „ჩინური ურჩხული“

**ყველამ ვიცით, სხვადასხვა ქვეყანას კვებისა და ცხოვრების სხვადასხვანაირი წესი აქვთ, ზოგან ლოკოკონას ჭამენ, ზოგან – ცხენის რძეს სვამენ, ისიც ვიცოდით, ჩინეთში ძაღლის ლეკვებს რომ მიირთმევენ, მაგრამ, რაც ორიოდე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეორგოლში ვიხილეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩინეთის აგრარულ ბაზარში ჩვეულებრივ ხორცად იყიდება პითონის სისხლიანი გაუტყავებელი ნაჭრები, რომელსაც სავაჭრო დახლზევე კეპავენ, იქვე დევს გატყავებული ვირთხის ხორცი, ზოგი შემწვარი, ზოგიც – შესაწვავი, ახალგაზრდა, მკვირცხლი ძაღლები კი, ჩვენებურად, გასაყიდი ქათმებივით გალიებში ჰყავთ...**

**ამ ტრადიციის და სულისკვეთების ქვეყანა კალიებივით მოედო მსოფლიოს.**

**საქართველოში უკვე არსებობს ჩინური დასახლებები და მსხვილი ლატიფუნდიები არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც.**

**ზოგიერთს „რუსული ჩექმის“ რომ „ეშინია“, აქ იხილავთ მეტად დამაფიქრებელ გარემოებებს იმის შესახებ, რა განზრახვები აქვს ჩინეთის უძლიერეს სახელმწიფოს, რისკენ მიისწრაფვის და რას შეიძლება მოველოდეთ ჩინური ექსპანსიისგან?**

**გვესაუბრება პოლიტოლოგი, „Caucasian & Asian Citizens“-ის წარმომადგენელი, ბატონი გია კუჭავა**






– 15 მაისს პეკინში ჩატარდა დიდი ფორუმი სახელწოდებით – „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, რომელიც აბრეშუმის გზის პროექტის მასშტაბების განხილვას მიეძღვნა. ამ პროექტის შესახებ აქტიური მოქმედებები ჩინეთმა 2013 წლიდან დაიწყო.

ქართულმა მედიამ ამ მნიშვნელოვან მოვლენას, რატომღაც, ყურადღება არ მიაქცია, არადა, ეს ფორუმი ჩვენი ქვეყნისთვისაც უმნიშვნელოვანესი იყო, რამდენადაც, ჩემი და არა მხოლოდ ჩემი აზრით, ჩინელების ეს აქტივობები მსოფლიოს ახალ გადაკეთებას, ახალ ეკონომიკურ წესრიგს ითვალისწინებს, ფაქტობრივად.

ფორუმზე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ **სი ძინ პინმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ აბრეშუმის გზამ 2000 წლის წინ კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ჩვენ ახლაც იგივე მისია გვეკისრებაო. ამიტომ ისინი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გზებს.

თავის დროზე რომის იმპერია იმიტომაც იყო მსოფლიოში ლიდერი ქვეყანა, რომ რომაელებს საუკეთესო გზები და ინფრასტრუქტურა ჰქონდათ.

გავიდა დრო და მსოფლიო ლიდერი გახდა ბრიტანეთი თავისი საზღვაო გზით.

ჩინელები ითვალისწინებენ ისტორიას და სახმელეთო გზის გარდა ცდილობენ გააძლიერონ თავიანთი პოზიციები ზღვაზეც, ანუ სურთ „გაკვალონ“ აბრეშუმის ახალი საზღვაო გზა. აი, ეს ინიციატივები გახმოვანდა 15 მაისს პეკინის ფორუმზე.

**– ჩინეთმა ამ ფორუმზე გაცხადებული ინიციატივით რა გზავნილები გაუგზავნა მსოფლიოს?**

– ამით ჩინეთმა თქვა, რომ ის დაეხმარება ყველა ქვეყანას განვითარებაში, აყვავებაში აბრეშუმის გზის ფონდისა და აზიის განვითარების ბანკის საშუალებით. ბევრ ქვეყანასთან დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები და რაც ყველაზე მთავარია, ანგარისწორებას აწარმოებს ჩინური ვალუტით. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ჩინეთს სურვილი აქვს ამერიკის ეკონომიკური ბატონობა დაასრულოს, ჯერჯერობით, თუნდაც, აზიის რეგიონში.

მოგეხსენებათ, ჩინეთი აქტიურად აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს სხვადასხვა ქვეყნებში.

**– ამას გარდა, მათი მოქალაქეებისთვის უცხო ქვეყნებში კერძო და წვრილი ბიზნესის გაძლიერებასაც უწყობენ ხელს.**

– ესეც აბრეშუმის გზის გლობალური პროექტის ნაწილია და ითვალისწინებს ჩინური ეკონომიკის ფეხის მოკიდებას მთელ მსოფლიოში.



ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ ჩინეთის ხელისუფლებას აქვს პრივილეგია იმ ოჯახების მიმართ, რომლებიც საზღვარგარეთ მიდიან – მათ საკომპენსაციოდ 50 000 დოლარი ეძლევათ, რათა იმ ქვეყანაში წამოიწყონ მომგებიანი ბიზნესი.

**– ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად დადიან ჩინეთში და, ალბათ, ბოლოს და ბოლოს, გადმოიტანენ სასარგებლო გამოცდილებებს ჩვენთვისაც, თანაც, ისიც სათქმელია, 50 000 დოლარს ჩვენსა ქვეყანაში ხარჯავს ის ჩინელი და ეს ჩვენთვის ხელსაყრელი არ უნდა იყოს?**

– მოდი, ბოლოდან დავიწყებ – ის ჩინელი აქ 50 000 დოლარს კი ხარჯავს, მაგრამ ორმაგი მოგება მიაქვს აქედან.

სააკაშვილის მმართველობისას, როცა მისი რეჟიმის დროს, ფაქტობრივად, მოისპო საშუალო ფენა და დღეს მოსახლეობის უმეტესობა არის ღატაკი, სწორედ ამ ღატაკი ხალხის გაყვლეფაზე მუშაობს ე. წ. ჩინური ბიზნესი. იაფფასიან, უვარგის პროდუქციას ასაღებენ გაჭირვებულ ხალხზე და ერთ წელიწადში ინაზღაურებენ იმ კომპენსირებულ 50 000 დოლარს, რომელიც აქ დააბანდეს.

საგანგაშო სახე მიიღო ჩინელების მიერ მიწების, კერძოდ, ქართული მიწის დაუფლების ფაქტებმა. იმერეთში, სამეგრელოში მიწებს ჩინელები ამუშავებენ. ფუძნდებიან, ამრავლებენ ოჯახებს.

ამასწინათ საქართველოს სავაჭრო პალატის თანადაფინანსების ფონდის თავმჯდომარემ **დავით საგანელიძემ** მოითხოვა ჩინელებისთვის მიწის მიყიდვის ნებართვა, მაგრამ იღებს პასუხისმგებლობას საგანელიძე იმაზე, რა საფრთხეებიც შეიძლება მოჰყვეს ამ ამბავს?!

ილია ჭავჭავაძე არ ახსოვთ ამ ოჯახაშენებულებს, რომელიც ამბობდა – დღეს მოდის გაცილებით ვერაგი და საშიში მტერი, არა ხმალით და ხანჯლით, არამედ ფულით და ამგვარი დამპყრობლის გაძევება ქვეყნიდან უფრო ძნელია, ვიდრე ხმლით შემოჭრილისო.

მიწა არის ამოწურვადი რესურსი, ილია ჭავჭავაძე ამაზე გასული საუკუნის დასაწყისში გვაფრთხილებდა, მაგრამ მივუბრუნდეთ კვლავ ფორუმს, რომლის ძირითადი შინაარსი იყო გეოპოლიტიკურის გარდა წმინდად ეკონომიკური.



**ჩინეთი თანდათან ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ აზიაში დაამყაროს ჩინური ეკონომიკური „წესრიგი“. ეკონომისტები და პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ თუ ჩინური სტრატეგია არ იქნება დაბალანსებული ადეკვატური პასუხით, იგი გაიმყარებს თავის პოზიციებს არა მხოლოდ აზიის რეგიონში, არამედ მესამე სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილში.**

**– ამ დროს ჩვენ კარს ვუხსნით ჩინურ ინვესტიციებს, დედაქალაქში აშენდა ე. წ. ჩინური კვარტალი — პატარა ჩინური ქალაქი ისანი-სამგორის რაიონში, ამასაც რომ თავი დავანებოთ, უმსხვილესი და ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ანაკლიის პორტის მსოფლიო მნიშვნელობის პროექტის განხორციელება, ფაქტობრივად, ჩინელებს მივანდეთ.**

– საქართველოში ქართველ სამართალდამცველებს კი არა ამერიკაში, პატარ-პატარა ჩინურ კვარტლებში უჭირთ წესრიგის დამყარება და საქართველოში, თუ ასე გაგრძელდა, მათი მოთოკვა ქართველ სამართალდამცავებს ძალიან გაუჭირდებათ. რაც შეეხება ანაკლია-პორტს, მე ზემოთაც აღვნიშნე ჩინეთის სწრაფვაზე ახალი აბრეშუმის გზის პროექტზე, რომელიც ზღვის გზას ითვალისწინებს. 15 მაისის ფორუმის სახელწოდებაც ხომ ეს იყო – „ახალი სარტყელი – ახალი გზა“. ასე მოხარულები რომ არიან ჩვენი მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი და ჩინელებს რომ ჩაუგდეს ხელში ხე-ტყე, ზღვა და ხმელეთი, ხომ არ ჰგონიათ, ჩინური მხარე იმდენად ბრიყვია, რომ თავის მოგებას შენ დაგიტოვებს ან რაიმეს დაგითმობს? ჩინეთი მსხვილი ინვესტიციების განხორციელებას რომ აპირებს საქართველოში, ამით გზას ისუფთავებს და არ უშვებს აქ სხვა ქვეყნის ინვესტიციას. უბრალო ამბავია, რაშიც ფულს გადაიხდი, ის უკვე შენია. ჩინეთის გაძლიერება არა მხოლოდ ჩვენ გვიქმნის საფრთხეს, არა მხოლოდ ჩვენს გადაყლაპვას ცდილობს, არამედ მსოფლიოს უქმნის საშიშროებას.

ჯერ კიდევ მე-19 ს-ში ამბობდა ნაპოლეონი – „ჩინეთში სძინავს ურჩხულს. სძინავს და იძინოს, თორემ როცა გაიღვიძებს, ის შეაზანზარებს მთელ მსოფლიოსო“.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# გარდაუვალია – „ჩემი დედა მო....იდან“ აუცილებლად „ჩემი საქართველოს დედის მო....მდე“ მივალთ...

## ენაბილწი მკრეხელობს ღვთისმშობელზე, ძალადობს საკუთარ დედაზე, შეურაცხყოფს მიწას, რომლისგანაც შექმნილია!..



უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც სულიერი, ფიზიკური და კულტურული კატასტროფის ტალღამ დაფარა საქართველო და მისი მოქალაქენი. ამ სიმბოლური ტალღის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი ბილწსიტყვაობაა. თუ ადრე ეს ჭირი იყო ბოროტმოქმედების, მეძავების, ლოთების, ნარკომანების და სოციალური ფსკერის სხვა „ბინადართა“ სფეციფიკური ენა, ახლა ის ღრმად არის შეჭრილი საზოგადოების მრავალ შრეში. დღეს ყველა იგინება **საჯაროდ**: მამაკაცი, დედაკაცი, მოხუცი, ბავშვი, მოზარდი, სკოლის მოსწავლე, სტუდენტი, მასწავლებელი, ექიმი, მეცნიერი, ინჟინერი, მწერალი, პოეტი, მუსიკოსი, მხატვარი, მსახიობი.

ამ „საშვილიშვილო“ საქმეში პირველობას არავის უთმობს „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ – **„რუსთავი-2“**. მარტო ე.წ. ტელესერიალი **„ჩემი ცოლის დაქალები“**, რად ღირს... თუმცა, ამ, თავის არსში, გაპირუტყვების „სახელმძღვანელოს“, არაფრით ჩამორჩება კინოხელოვნების ისეთი „შედევრი“, როგორიცაა ე.წ. კინოფილმი – **„ტაქსი“**. სამოც წელს გადაბიჯებული მსახიობის **ტრისტან სალარიძის** „გმირის“ ლექსიკონში ყველაზე „კეთილხმოვანი“ სიტყვაა – „პ......ჭი“. არადა, იმას, ვინც ორმოცდაათი წლისაა და უფრო მეტის, უთუოდ ემახსოვრება, ბავშვობაში მის მიერ ქუჩიდან მოტანილ და ოჯახში გაჟღერებულ „ცუდ სიტყვას“ აუცილებლად მოჰყვებოდა პირის ღრუს საპნიანი წყლით გამოვლების „არადემოკრატიული“ პროცედურა.

სულ რაღაც, 30 წლის წინ (აღარაფერს ვამბობ ძველ დროზე) ქართველი კაცი ყველაზე დიდ შეურაცხყოფად, სავსებით სამართლიანად, მიიჩნევდა დედის შეგინებას. ამის გამო, ბევრმა ენაბილწმა სასაფლაოზე დაიმკვიდრა ადგილი. თუმცა, გავიდა დრო და, ჰოი, საოცრებავ, ბილწსიტყვაობა, რომელსაც „კომუნისტური მონობის“ დროს ტაბუს „მძიმე ბორკილები“ ჰქონდა დადებული, ანუ საზოგადოების თავშეყრის ადგილას გინებისთვის 15 დღედამით „ვირის აბანოში“ ე.წ. პარაშას გახეხინებდნენ, „ყვავდა და გაიფურჩქნა“ დამოუკიდებელ საქართველოში. თუ უწინ დედის დაფიცება იყო საქმის გაკეთების, ან დანაპირების შესრულების ასპროცენტიანი გარანტია, დღეს მოსახლეობის უმრავლესობისთვის მშობელი დედის გინებას უფრო მეტი დამადასტურებელი ძალა აქვს, ვიდრე ნოტარიუსის ბეჭედს ან საქმიან ხელშეკრულებას. ახლანდელი მამაკაცების „დაფიცებას“: „ბ....ს შვილი ვიყო“ შეემატა დედაკაცური: „მამაჩემის ბ.....ი ვიყო“ და, კიდევ, ამაზე გაცილებით უარესი. ქართველ საზოგადოებაში შხამიანი სოკოებივით მრავლდებიან „ბ.....ს შვილები“, თუმცა, რა გიკვირს, ადამიანო? დღეს მეძავობა, პედერასტობა, ლესბოსელობა და ნარკომანობა ე.წ. ელიტარულ წრეში, პრესტიჟულია.

სხვათა შორის, ეთერში გაჟღერებულ ბილწსიტყვაობას, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სათანადო საცენზურო ორგანო უყურადღებოდ არ დატოვებდა. მაგ ტელეარხს ჩამოერთმეოდა ლიცენზია ან მრავალმილიონიანი ჯარიმა დაეკისრებოდა. როგორც ხედავთ, აშშ თავის ამპლუაშია – საკუთარ მოქალაქეებს იცავს, ხოლო სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ყვრნის, როგორც შეუძლია. რა მნიშვნელობა აქვს ვინ დაწერა ალენ დალესის დოქტრინა – ალენ დალესმა თუ გიგა ბოკერიამ. მთავარია, ამ დოკუმენტის თითოეული დებულება ჩვენს თვალწინ წარმატებით ხორციელდება. ავიღოთ, თუნდაც, დღევანდელი ლიტერატურა. ვინ ითვლება მის მნათობად? ვინ და, „მწერლები“ – **დეისაძე, ბუღაძე, ქარუმიძე** და სხვ.; „პოეტები“- **შამუგია, ბურჭულაძე** და სხვ. „ავადხსენებულ კომუნისტურ დროს“ აქ ჩამოთვლილი ინფუზორიების ასპარეზი იყო საზოგადოებრივი საპირფარეშოები, რომლის კედლებს ისინი „ამშვენებდნენ“ თავისი ფსიქიურად დაავადებული ტვინის ნაჟურით, დღეს კი, ამ პათოლოგებს მფარველობს და პრემიებით (მათ შორის ფულადიდ) ანებივრებს ქართული „ლიტერატურის“ და „ხელოვნების“ დიდი „მეცენატი“, ბანკირი, უფრო ზუსტად, მევახშე **ზაზარაძე**.

დღევანდელ ქართულ ე.წ. ლიტერატურაში „სპონსორების“ მიერ უპირველეს ყოვლისა ფასდება ბილწსიტყვაობა.

მაინც, რატომ ელოლიავებიან ენაბილწებს ვითომ და რესპექტაბელური „ბიძიები და დეიდები“ ამერიკიდან და ევროკავშირიდან?



### მეცნიერება ბილწსიტყვაობაზე

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ბგერების ზემოქმედებით, მათ შორის ადამიანის მეტყველებითაც, წყლის მოლეკულები მწკრივდებიან მეტად რთულ სტრუქტურებში. იაპონელმა მეცნიერმა – **მასარუ ემოტომ** მეცნიერულად დაამტკიცა, რომ წყალი არათუ აღიქვამს ინფორმაციას, არამედ შეუძლია, შეიცვალოს სიტყვის და, წარმოიდგინეთ, აზრის ზემოქმედებითაც. უახლესი მოწყობილობის დახმარებით, მეცნიერმა შეძლო გაეყინა და გადაეღო მიკროსკოპის ქვეშ არსებული წყლის კრისტალების სტრუქტურა. ნანახმა გააოგნა მასარუ-სანი: დადებითი სიტყვების ზემოქმედებით წყლის კრისტალების სტრუქტურამ მიიღო საოცარი სილამაზის და ჰარმონიული ფორმები, ხოლო მაგინებელმა სიტყვებმა კრისტალები დაამახინჯეს. და თუ გავითვალისწინებთ უტყუარ ფაქტს, რომ ჩვენი სხეული ოთხმოცზე მეტი პროცენტით წყლისგან შედგება, არ არის რთული იმის წარმოდგენა, თუ, რა ზიანს ვაყენებთ ბილწსიტყვაობით საკუთარ თავს, საკუთარ ჯანმრთელობას!

რუსი მეცნიერები ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტიდან, რომლის დამაარსებელი და პირველი რექტორი გახლდა ჩვენი თანამემამულე, დიდი მათემატიკოსი – **ილია ვეკუა,** მრავალი ცდის შედეგად მივიდნენ მეტად დამაფიქრებელ დასკვნამდე – ადამიანი სიტყვებით და აზრებით ქმნის ან ანგრევს თავის მემკვიდრეობის აპარატს. აღმოჩნდა, რომ **დნმ-ს** ელექტრომაგნიტური არხებით შეუძლია აღიქვას ადამიანის მეტყველება და ტექსტი, რომელსაც ის კითხულობს. ერთნი შეტყობინებები აჯანსაღებენ გენებს, მეორენი – აზიანებენ. მაგალითად, **ლოცვის კეთილი სიტყვები აღვიძებს გენეტიკური აპარატის სარეზერვო შესაძლებლობებს, ბილწსიტყვაობა კი და წყევლა იწვევენ მის მუტაციებს (ცვლილებებს), რომლებსაც მოჰყვება გადაგვარება. იგინება ადამიანი და მისი ქრომოსომები მრუდდება და იღუნება, გენები ადგილებით ენაცვლებიან ერთმანეთს. შედეგად დნმ იწყებს არაბუნებრივი პროგრამების გამომუშავებას. ასე და ამგვარად, შთამომავლობას თანდათანობით გადაეცემა თვითგანადგურების პროგრამა...** ვითარცა ხილულ სამყაროში არის მალფუჭებადი პროდუქტები, ასევე მეხსიერებაში ბილწსიტყვაობა, ისევე როგორც, პორნოგრაფიული ფილმების სცენები, მალფუჭებადია და ლპება. აქედან აქვთ ახალგაზრდებს მოხუცებულისთვის დამახასიათებელი სნეულებანი: სკლეროზი, საერთო ატროფია, გულის უკმარისობა და სხვა მრავალი. **ჩვენი გენური აპარატი არის სიტყვების გრძელი რიგი, გააზრებული ტექსტი, რომელიც ჩვენი და უსასრულობის შემოქმედის – ღმერთის მეტყველებაა.** ამით **მეცნიერება ადასტურებს** სახარების ჭეშმარიტებას, რომ **„თავდაპირველად იყო სიტყვა; და სიტყვა იყო ღმერთთან; და სიტყვა იყო ღმერთი.“ (1 იოან. 1,1-2.)**

ბილწსიტყვაობასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი საინტერესო დაკვირვება. იმ ერებში, რომელთა ენების გინებაში არაა მოხსენიებული კაცის ან ქალის სასქესო ორგანები, არ არის აღმოჩენილი დაუნის დაავადება, ასევე, ბავშვთა ცერებრალური დამბლა. არადა, ეს სნეულებანი საქართველოში მრავლობს და „ყვავის“... კიდევ, თუ ადამიანი უარჰყოფითი ენერგიის „ამოფრქვევის“ დროს იხსენებს სასქესო ორგანოს და მისი სახელწოდებით „ამკობს“ ოპონენტს, ამით ის ნეგატიურად მოქმედებს თავის საამაყო „მამაკაცურ ღირსებაზე“. ასეთი ენაბილწი ნაადრევად ხდება იმპოტენტი და, დამატებით, იძენს მძიმე უროლოგიურ დაავადებებს. ავადდდება ისიც, ვინც ისმენს გინებებს. ამიტომ, თუ გსურთ ჯანმრთელობა – დაუყოვნებლივ გაერიდეთ ენაბილწებს.

### ეკლესიის დამოკიდებულება ბილწსიტყვაობისადმი

დეკანოზი **თეოდორე გიგნაძე:** ბილწსიტყვაობა მომაკვდინებელი ცოდვაა. **ენაბილწი მკრეხელობს ღვთისმშობელზე, დასცინის საკუთარ დედას, შეურაცხყოფს მიწას, რომლისგანაც შექმნილია და, რომელსაც არ სურს ღვთის მტრების უკან, თავის წიაღში მიღება. ბილწსიტყვაობა ეშმაკისადმი ლოცვაა. გინების დროს ჩვენს და ჩვენი შვილების თავზე მოვუხმობთ ჭირს და უბედურებას. მერე კი, გვიჯვირს, ვეძებთ და ვერ ვპოულობთ მიზეზს, რატომ გვაქვს ცხოვრება უიღბლო, არეულ–დარეული. თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა აღორძინდეს, საზოგადოებამ ბილწსიტყვაობა კანონგარეშედ უნდა გამოაცხადოს!**

უკვე კარგა ხანია, მეცნიერები და მედიკოსები ადასტურებენ ეკლესიის მტკიცებას, რომ **ყველა დაავადება ადამიანის სულში ჩნდება.** სანამ რომელიმე ორგანო ატკივდება ადამიანს, სანამ დაირღვევა სისტემების თუ ფუნქციების მუშაობა, მანამ ჩნდება წინაპირობა სულიერების დონეზე, აზრებში, ემოციებში, სიტყვებში და მოქმედებებში. ავადმყოფობის თავიდან აცილება ან შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ ზნეობრივი თვისებებით. **ფსიქიკური და ფიზიკური პათოლოგიის ძირითადი მიზეზი უზნეობაა. მხოლოდ სულიერი სრულყოფა დაიცავს ადამიანს სხვადასხვა დაავადებებისგან. ძლიერ უნდა განავითარო შენში სიყვარული, სიკეთე, სილამაზის აღქმა;** უნდა ისწრაფოდე ცოდნისკენ, განავითარო პასუხისმგებლობა შენი აზრებისადმი და მოქმედებებისადმი. **მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის** ექსპერტების დასკვნის მიხედვით, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა 10% განისაზღვრება მედიცინის განვითარების დონით და სასწრაფო დახმარების მდგომარეობით; 20% განისაზღვრება გარემოს მდგომარეობით და 70% განისაზღვრება **ცხოვრების წესით.** ერთადერთი გზა, რომელსაც თითოეული ადამიანი მიჰყავს ჯანმრთელობისკენ, არის თავად ადამიანის მიერ საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების შეცვლა. იმას, ვინც ენაბილწია აქვს ორი გზა: პირველი – იცის რა, რომ ბილწსიტყვაობა ცუდია, მაგრამ მაინც აგრძელებს გინებას, ამით ის რთავს თვითგანადგურების პროგრამას; ხოლო, მეორე გზა არის სულიერი ზრდა, საკუთარი თავის სრულჰყოფა, სილამაზის გზა.

თავისუფალი ნების კანონი გვაძლევს არჩევანის გაკეთების უფლებას, თუ რომელი გზით ვიაროთ. მაგრამ, **მოდით, ერთი თვე მაინც გავძლოთ ცუდი სიტყვების წარმოთქმისგან და ყურადღებით დავაკვირდეთ, რა ცვლილებეი იქნება ჩვენს ცხოვრებაში. მალე მივხვდებით, ბილწსიტყვაობაზე უარის თქმით, მივიღებთ ღვთისგან საჩუქრად ჯანმრთელობას, ბედნიერებას, იღბალს, ნათელ გონებას, გააზრებულ ქმედებებს და ახლობლების სიყვარულს!**

გიორგი კორძაძე
571 77 61 95

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

### ქართველი ზანგები აფრიკაში

1897 წელს ჟურნალ „მოამბის“ მიმოხილვაში, „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა გამოჩენილი რუსი მეცნიერისა და მოგზაურის, (იგი კარგად იცნობდა საქართველოს) ელისევის ნაშრომი სადაც საუბარი იყო აფრიკაში, საჰარის განაპირა მხარეს, ქალაქ უარგალში (ვარგალში) მცხოვრებ მეგრელებზე. იგი წიგნში „პო ბელუ სვეტუ“ აღწერს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს და ამბობს, რომ მოსმენილი და ჩაწერილი აქვს ქართული (მეგრული) საუბარი აფრიკაში, ახსენებს გვარებსაც; გუგუნავა, ჭანუყვაია და სხვა.

1989 წელს გაზეთში გამოქვეყნდა ჟურნალისტ გიორგი კურტანიძის წერილი, რომელიც ალჟირის ნავსადგურში ნამყოფი ქართველი მეზღვაურის, სიორიძის მონათხრობზე იყო აგებული. Mმისი თქმით, სხვა ქართველ მეზღვაურებთან ერთად, ნავსადგურში ნახა „ქართველი



ზანგები“ რომლებიც ფრანგულ გემს ტვირთავდნენ. მათ სიორიძეს უთხრეს, რომ იქ ათი ქართველი მუშაობდა და ყველანი ერთი სოფლიდან იყვნენ; რომ უჯდასთან, მაროკოს საზღვრისპირა ქალაქთან ქართველების რამდენიმე სოფელია და მოსახლეობის დიდი ნაწილი გუგუნარის (გუგუნავა) გვარს ატარებსო.

პროფესორი ილია ტაბაღუა ორჯერ ჩავიდა ალჟირში 1964 და 1967 წლებში, მაგრამ ვერაფერით დაადგინა „ქართველი ზანგების გაზანგების საკითხი“.

1972 წელს გამოქვეყნდა დ. ფაშტიანის ვრცელი წერილი „აფრიკელი ქართველების“ საოცრო ისტორიის შესახებ. მათ შესახებ დოკუმენტური მასალები აქვს გამოქვეყნებული თავის წიგნში გ. მახარაძესაც „აფრიკის, ანუ უარგლელ-უჯდელი ქართველები.“

### კასიტური (კოსების) ენა, ნაბუქოდონოსორი და გიობეკლე-თეფე (თებე)

უცხოელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს მასალები სათაურით „უცნობი ქართველური ენა და მესოპოტამიაში ქართული დინასტიის მმართველობის 600 წლისთავი“.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იური მოსინჯისი წერს: „შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ კასიტური (კოსების) ენა კიდევ ერთი უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა. მისი მატარებელი დინასტია მართავდა ბაბილონს ძვ.წ. აღ-ით XVIII საუკუნის შუა წლებიდან ძვ.წ. აღ-ის XII საუკუნემდე“; რომ ქვეყანას მართავდნენ კოლხები და მმართველობა კოლხურ ენაზე ხდებოდა.

„საიდან მომდინარეობს სიტყვა „კოლხა“, რომელიც მეფე ანმარემ დაარქვა თავის სახელმწიფოს, ენგურის დედაქალაქს; სად მდებარეობდა ძველი ქალაქი კოლხა?

მეფე ანმარემ დედაქალაქი კოლხა დააარსა თავისი ვრცელი სახელმწიფოს შუაგულში, მდინარეების: იდიგნასა და ძაბ-ის შესართავთან, ანუ ხერთვისში. დედაქალაქი კოლხა რამდენჯერმე ნახსენებია ყურანშიც. ათასწლეულების შემდეგაც ქალაქი კოლხა ქვეყნის დედაქალაქი იყო, კერძოდ, ნაბუქალე-ნეცარის (მენცარი-მეცნიერი-წინასწარმეტყველი) მეფობისას, რომელსაც უცხოელები მცდარად „ნაბუქოდონოსორად“ მოიხსენიებენ.

როგორც ცნობილია, ჩვ. წ. აღ-მდე დიდი ხნით ადრე დაინგრა სემირამიდას დაკიდული ბაღები, რომელიც მეფე ნაბუხათ ნასრმა (ნაბუქოდონოსორ II) ხელოვნურ გორაკებზე, ტერასებზე გააშენებინა საკუთარი მეუღლის სპატივცემულოდ (ძვ.წ. 605-571 წწ), რადგან გადმოცემის მიხედვით, ირანში დაბადებული სემირამიდა თავისი ქვეყნის ბაღების ყოფილა შეჩვეული.

თურმე, ადამ და ევასდროინდელი ხე მას შემდეგ გამხმარა, რაც ამერიკელებმა შეტევა („ქარიშხალი უდაბნოში“) განახორციელეს და დაბომბეს ერაყის სოფლები და ქალაქები.

დაბა ელ-კურნიში, სადაც ედემის ბაღი ყოფილა, დღეს აღარაფერი მოგვაგონებს ასეთი ბაღის არსებობაზე; არც ქალაქ ედესაში კარდუხების (კოლხების) საცხოვრისზე, გარდა აღნიშნული გამხმარი ხისა, რომელმაც „ამერიკულ ქარიშხალს“ გაუძლო. იქვე ახლოს მდებარეობს ქალაქი ური, რომელიც მრავალჯერ არის ნახსენები „ძველ აღთქმაში“, – შუმერული კულტურის ცენტრი. იქვე მდებარეობს ღმერთ ნანას ტაძარი, რომელიც აგებულია ჩვ. წ.აღმდე ოცი საუკუნით ადრე.

მკვლევარი ბადია სოფია წერს: „სანამ შუმერები მოვიდოდნენ შუამდინარეთის სამხრეთში, მანამდე ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ნამდვილი შუმერები, იგივე ლაზმეგრელები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი კულტურა; ჰყავდათ თავიანთი ღმერთები თავიანთი ტაძრებით. ასეთ დროს შუამდინარეთის სამხრეთი დაიმორჩილა დამპყრობმა ხალხმა რომლებიც იყვნენ ე. წ „შუმერები“ და რომლებიც შეცდომით იწოდებიან შუმერებად.“

თანამედროვე ქალაქ მოსულის მიმდებარე ტერიტორიაზე ბაბილონის დასუსტების შემდეგ, ათასწლეულის წინ შექმნილია ასურეთის უძლიერესი სახელმწიფო ნინევია, რომლის ტერიტორიაზეც, გათხრების დროს, ნაპოვნი იქნა მეფე აშურბანიპალის (აშურბანიფალის) ცნობილი ბიბლიოთეკა, რომელშიც აღმოჩნდა მსოფლიოში უძველესი „გილგამეშის ეპოსი“.

ეს საკითხები იმიტომ მოვიტანეთ, რომ როგორც უკვე ითქვა, ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ პროტო-ქართველები – კოლხ-კარდუხები და სხვა ქართველური ტომები; სწორედ აქ მდებარეობს ძვ.წ. 3200 წელზე ადრე დაარსებული ქალაქი „კულხა“ (კოლხუა, კოლხი),“ – კლიმენტი შელია.




### გიობეკლე-თეფე (თეპე, თებე)

გერმანელმა არქეოლოგებმა (შმიდტის ხელმძღვანელობით) თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გიობეკლე-თებეს (თეფეს) მოდამოებში, ჭიპლარის მთაზე („ჭიპი“, მეგრულად „ჩუპა“ – ჩუპას მთაზე) აღმოაჩინეს ნეოლითის პერიოდის, დაახლოებით 11 500 წლის წინანდელი ეკლესია –ტაძრები. „კარგად შემონახულ, კირქვის სამშენებლო რუსული T-სებრ სვეტებზე გამოსახული იყო ქვის საუკუნის მთელი ზოოპარკი: ლეოპარდი, მელა, ველური ვირი, გველი, იხვი, ტახი, ველური ხარი, წერო... უყურებ რა მათ, წარმოგიდგება, რომ იხვი ეს-ეს არის ყიყინს დაიწყებს; მელა თავს დაესხმის მსხვერპლს; ველური ხარი საშიშრად წამოვა თქვენკენ – ამ ეპოქაში მსგავსი სილამაზე და დახვეწილობა არავის უნახავს.

შესაძლებელია, სამშენებლო ორნამენტებზე, სვეტებზე, გრაფიკული კომბინაციების უკან იმალება სიტყვები და ფრაზები. ჩანს, საქმე გვაქვს ინფორმაციის უძველეს სისტემასთან. გიობეკლე-თეფეს მშენებლები შეტყობინების შესადგენად და ადამიანებისთვის გადასაცემად სარგებლობდნენ რთული სიმბოლიკით, თუმცა საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში საიმედოდ იქნას განმარტებული გიობეკლე-თეფეს სიმბოლიკა,“ – წერდა შმიდტი.

მეცნიერები ერიდებიან დამწერლობის შესახებ საუბარს, რადგან ეს ამსხვრევს ადამიანური კულტურის შესახებ დამკვიდრებულ წარმოდგენებს, მაგრამ როგორი წარმოსადგენია რომ „ველურები ველურთა შორის“ აგებდნენ ტაძრებს? განსაკუთრებით ძნელი წარმოსადგენია რომ ნეოლითის ხანის ველურებს დამწერლობაც ჰქონოდათ, არადა, ისეთი სიმბოლოებია აღმოჩენილი, რომელიც დამწერლობას ჰგავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტაძარი იდეალურ მდგომარეობაში იყო შემონახული არქეოლოგებისთვის.

არქეოლოგებმა გათხარეს ოთხი წრიული ნაგებობა რომელთა კედლების გასწვრივ და ცენტრში აღმართული იყო თითქმის 4 ათეული 20-ტონიანი მონოლითური სვეტი რუსული T–ს ფორმის. მკვლევარების თქმით, ყველაზე მსხვილი ცენტრალური მონოლითები ჰგვანან სტოუნჰენჯის ქვის ფილებს, მაგრამ ისინი 6 000 წლით ხნიერია.

მეცნიერების შეფასებით, მიწაში ჩამარხული კიდევ ორ ასეულამდე ქვის სვეტი ასევე შემკობილია სიმბოლოებით. ნეოლითი ის ხანაა, როცა ადამიანებმა არ იცოდნენ არც მიწათმოქმედება, არც მესაქონლეობა და ასე დახვეწილად და ლამაზად კი „წერდნენ“?

სვეტებზე გეომეტრიული სახეები და ცხოველების ფიგურები უფრო მეტია, ვიდრე ორნამენტი. ვარაუდობდნენ, რომ მათი გრაფიკული კომბინაციების მიღმა იმალება სიტყვები და ფრაზები. შმიდტი მიიჩნევდა, რომ წარწერები შეიცავს მხოლოდ იმ ხალხისთვის გასაგებ რაღაც გზავნილს, ანუ საქმე გვაქვს ინფორმაციის კოდირების უძველეს სისტემასთან, რაც აბსოლუტური გადატრიალებით ემუქრება ისტორიულ წარსულს, ფაქტებს და მოვლენებს.

თანამედროვე თურქეთის ტერიტორიებზე, ერაყში, სირიაში, პალესტინაში, ხმელთაშუა ზღვის აუზში და სხვა ტერიტორიებზე იმ უძველეს ეპოქაში ცხოვრობდა ოცდაათზე მეტი კოლხი ტომი (ისტორიაში სხვა ტომები და ხალხები გარდა კოლხპელაზგებისა, ამ ტერიტორიებზე არ ჩანს); გარდა ამისა, პირველყოფილი საზოგადოების და ამ საზოგადოების ბოლო დროიდან, სხვადასხვა ტომები ურთიერთდაპირისპირებული იყვნენ და მათ გაერთიანებული ძალით საერთო ეკლესია-ტაძრების, მრავალტონიანი ქვის სვეტებით ერთიანი სალოცავის შექმნა არ შეეძლოთ...



გორა, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, რომელმაც მეცნიერთა ზოგიერთი წარმოდგენა თავდაყირა დააყენა ქალაქ შანლიურფას ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან 15 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. არქეოლოგიური გათხრები გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტისა და შანლიურფას არქეოლოგიური მუზეუმის თაოსნობით 1995 წლიდან დაიწყო. კლაუს შმიდტმა გიობეკლითეფეს „სუპერ ნოვაც“ კი უწოდა. მისი თქმით, ადრეული ნეოლითის სხვა ძეგლებისგან მას გამოარჩევდა და უნიკალურს ხდიდა რამდენიმე მახასიათებელი: ასაკი, ფუნქცია, არქიტექტურა.

გიობეკლე-თეფეს მონუმენტი უძველესია დღემდე აღმოჩენილ რელიგიური დანიშნულების ნაგებობათა შორის და იმ პერიოდშია შექმნილი როდესაც ადამიანი მომთაბარე ცხოვრებიდან ბინადარ ცხოვრების წესზე იწყებდა გადასვლას, თუმცა ძირითადად მაინც მონადირეობა-შემგროვებლობით ირჩენდა თავს. ამას ადასტურებდა იმ დრომდე გათხრილ უძველეს ფენაში (ძვ.წ. X ათასწლეული) მოპოვებული ძვლები სხვადასხვა ცხოველისა, რომელთაგან არც ერთი მოშინაურებული არ არის; არც კულტივირებულ მცენარეთა კვალი ჩანს.

გიობეკლე-თეფეს აღმოჩენამდე მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ მონადირე-შემგროვებელთა საზოგადოებას მსგავსი სირთულის არქიტექტურული კონსტრუქციის აგება არ შეეძლო, რამდენადაც ეს მოითხოვდა უზარმაზარ რესურსებსა და სხვადასხვა ტექნოლოგიების ცოდნას; ადამიანთა დიდი ჯგუფის ორგანიზებულ და შეთანხმებულ მოქმედებას. აღნიშნული უნარები მხოლოდ მიწათმოქმედ საზოგადოებას შეეძლებოდა, გიობეკლე-თეფემ კი ეს წარმოდგენა შეარყია. იგი ყველაზე ახლოს დგას ნევალი ჩორთან (ძვ. წ. IX ათასწლეული), რომელიც მისგან 50 კმ-ით არის დაშორებული, მაგრამ გიობეკლე-თეფეზე ნამოსახლარების არსებობა არ დადასტურდა.

(გაგრძელება იქნება)

# ჩერქეზები

## ორიოდე სიტყვა ნუგზარ ანთელავას ნაშრომზე „ჩერქეზული (ადიღური) კულტურა“







ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დიდი ყურადღება ეთმობოდა და დღესაც ეთმობა კავკასიოლოგიურ პრობლემატიკას. მიუხედავად ამისა, ჩვენი საზოგადოების უდიდესმა უმრავლესობამ ცოტა რამ თუ იცის კავკასიის მოსახლეობაზე, რადგან, რომ არაფერი ვთქვათ მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაზე, დღემდე არ მოგვეპოვება მეტნაკლებად სრული მონოგრაფია, რომელშიც განხილული იქნებოდა ამ რეგიონში მცხოვრები რომელიმე ხალხის ეთნოგენეზის, ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიის, ტრადიციული ყოფისა და კულტურის მრავალმხრივი საკითხები. ამ ხარვეზის შევსების მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს ნუგზარ ანთელავას ნაშრომი „ჩერქეზული (ადიღური) კულტურა“.

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი, რომელიც წინათქმითა და შესავლით იხსნება, მოიცავს ექვს თავს. ნაშრომის შესავალში წარმოდგენილია ჩერქეზული ეთნიკური კულტურის კვლევის სფეროში არსებული მდგომარეობა, მიმოხილულია დარგის განვითარების ისტორიული გზა და გაანალიზებულია ამჟამინდელი მიღწევები; გამოთქმულია სათანადო კრიტიკული შენიშვნები.

ნ. ანთელავას მონოგრაფიაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვაინ საკითხები, როგორიცაა ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალური კავკასიის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები, ეთნოდემოგრაფიული ვითარების ისტორიულ დინამიკა, ჩერქეზული ენები, ადიღეური და ყაბარდოული გრაფიკის უნიფიკაციის პრობლემები, ადიღური ავტო- და ეგზოეთნონიმები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ეგვიპტეში, ტუნისში, ისრაელში, აშშ-ში და ევროპის ქვეყნებში მცხოვრები ადიღების ისტორიას, აღნიშნულ ქვეყნებში მათი თემების ჩამოყალიბებისა და დღევანდელი მდგომარეობის საკითხებს.

ჩერქეზული ეთნოსის ფორმირების პროცესი, მათი ეთნიკური და პოლიტიკური ისტორია, გაჯერებულია დრამატული, შეიძლება ითქვას, ტრაგიკული მოვლენებით, რასაც, საბოლოო ჯამში, გადარჩენისა და თავისუფლებისათვის თავდაუზოგავად მებრძოლი ხალხის გენოციდიც კი მოჰყვა. აღნიშნული საკითხები, ანუ ადიღთა ისტორია უძველესი პერიოდიდან 1917 წლამდე, ნ. ანთელავას ნაშრომის მეორე თავში სათანადოდ არის გამოკვლეული.

განსაკუთრებით, საინტერესოდ გვეჩვენება ნაშრომის მეხუთე თავი – „სამხედრო კულტურა“. მკვლევარი ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავს ჩერქეზულ ფეოდალურ საზოგადოებას, როგორც მილიტარიზებულ საზოგადოებას, რომელმაც მთელი მისი ყოფა პერმანენტული ომების მოთხოვნებს დაუმორჩილა და ამდენად, შეიძლება ითქვას, მილიტარისტული ხასიათის კულტურაც კი შექმნა. ამ დებულების ფონზეა შესწავლილი ადიღური სამხედრო კულტურა, ჩერქეზული რაინდული კოდექსის – „უორკ ხაბზას“ – არსი, სამხედრო შენაერთების სახეობები, ომის გამოცხადებისა და ბრძოლის წარმოების წესები, სამხედრო მოქმედებათა ტაქტიკის საკითხები, მეომრის სტატუსი და სიკვდილის ჩერქეზული იდეოლოგია, სამხედრო საქმესთან დაკავშირებული რელიგიური კულტები და რწმენა-წარმოდგენები.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი ადიღთა კულტურის მნიშვნელოვან სფეროებს ეძღვნება. ქართველი მკითხველი ინტერესით გაეცნობა ჩერქეზულ სუბეთნიკურ ჯგუფებში გარცელე- ბული ნართული თქმულებების სხვადასხვა ვარიანტს, ასევე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ბრინჯაოსა და რკინის ხანების იმ არქეოლოგიურ კულტურებს, რომელთა კავშირი ადიღურ ეთნოსთან ეჭვმიუტანელია. ფრიად საინტერესოდ გვეჩვენება დანარჩენი, უხვად ილუსტრირებული, თავებიც.

წიგნი დაწერილია ყველა კატეგორიის მკითხველისათვის გასაგებ ენაზე. ნაშრომს დართული აქვს ტერმინთა, საგანთა, პირთა სახელების, ტოპონიმთა, ეთნონიმთა, თეონიმთა და მითოლოგიურ პერსონაჟთა საძიებლები და ბიბლიოგრაფია ყოველი თავის ბოლოს.

მონოგრაფიის რედაქტორია ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მერაბ ჩუხუა.

წიგნი გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ, დართული აქვს უიშვიათესი ფერადი ილუსტრაციები და, შეიძლება ითქვას, რომ პოლიგრაფიული თვალსაზრისით ბოლო დროის ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემაა.

აღსანიშნავია, რომ ნ. ანთელავას ნაშრომის ინგლისურენოვანი ვარიანტი გამოიცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ამდენად, ჩვენს წინაშეა ნაშრომი, რომელიც ქართული კავკასიოლოგიის უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია.

**გონელი არახამია**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**– გთხოვთ, გაგვაცნოთ ჩამონათვალი იმ საჯარო ინფორმაციებისა, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია.**

– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით,

ყველას აქვს უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;

დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე, სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.

ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

* * *

**– ითვალისწინებს თუ არა საჯარო სამსახურის კანონმდებლობა საჯარო სამსახურში პირთა მიღებას კონკურსის გარეშე?**

– დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

მუხლი 30. თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა

თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები;

ა1) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი

ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები;

ბ) მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები და მრჩევლები;

გ) თანამდებობაზე დროებით შემცვლელები;

დ) დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც

კონკურსის წესით უნდა შეივსოს;

ე) სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში.

* * *

– ჩემი შვილის მიმართ სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი. შეუძლია თუ არა მას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება?

– სასიამოვნოა, რომ სამართალმა გაიმარჯვა. გილოცავთ.

რა თქმა უნდა, თქვენს შვილს შეუძლია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამართალმწამოებელთა მხრიდან უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური/ იგულისხმება ხარჯები, მათ შორის, ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები, გზის ხარჯები, პატიმრის შენახვის ხარჯები და ა. შ . დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით/ , ფიზიკური/ იგულისხმება ჯანმრთელობის შერყევასთან დაკავშირებული ხარჯები, დადასტურებული შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტებით და სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნით/ და მორალური ზიანის ანაზღაურება.

# ცნობილი ადამიანები, რომელთა ხელგაშლილობაც გაგაოცებთ

**მდიდარი და ცნობილი ადამიანები ყოველთვის როდი ხდებიან ძუნწები, მათ შორის ისეთებიც არიან, ვინც საკუთარ მდგომარეობას იმისთვის იყენებს, რომ გარშემომყოფებს დაეხმაროს.**

### სეზარია ევორა

ეს „ფეხშიშველი დივა“, როგორც მას უწოდებდნენ იმის გამო, რომ სცენაზე ფეხშიშველი გამოდიოდა, იმის ნათელი მაგალითია, რომ ერთ ადამიანს შეუძლია ათასობით ადამიანის ცხოვრება შეცვალოს. წარმოიდგინეთ, რომ სეზარია მთლიანად აფინანსებდა საკუთარ ქვეყანაში (კაბო-ვერდე) დაწყებითი განათლების სისტემას, საშუალო და უმაღლესი განათლებისა და



ჯანდაცვის სისტემებს კი 50%-ით. სეზარია ევორას წყალობით, ათასობით მისმა თანამემამულემ, როგორც მინიმუმ, წერა-კითხვა ისწავლა და გაეწიათ სამედიცინო დახმარება.

### ჩარლზ „ჩაკ“ ფინი

Duti Free-ს ქსელის დამაარსებელი ჩარლზ ფინი ფილანტროპთა შორის რეკორდსმენია. მან თითქმის მთელი თავისი ქონება – 6 მლრდ დოლარზე მეტი – დახარჯა ქველმოქმედებაზე ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ირლანდია, ვიეტნამი, აშშ, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა. ამჟამაც ჩაკ ფინი 86 წლისაა და განზრახული აქვს, 2020 წლამდე დახარჯოს დარჩენილი ფული განათლების, ჯანდაცვის სისტემების განვითარებასა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე.



### ჯოან როულინგი

„ჰარი პოტერის დედამ“ ქველმოქმედებაზე იმდენი ფული დახარჯა, რომ მილიარდერიდან მილიონერად იქცა. მან გაჭირვებულებისთვის 160 მლნ დოლარი გასცა, ანუ თავისი ქონების 16%. ჯოანმა მშვენივრად იცის, რა არის სიღარიბე, როდესაც პირველ წიგნს წერდა (რომლის დაბეჭდვაზეც ყველა გამომცემლობა უარს ამბობდა), სოციალური დახმარების ხარჯზე ცდოვრობდა. როულინგმა სპეციალურად დაწერა რამდენიმე წიგნი, რომ აღებული ჰონორარი (დაახლოებით 30 მლნ დოლარი) სხვადასხვა ფონდებში ჩაერიცხა. გარდა ამისა, ჯოანს საკუთარი ფონდიც აქვს, რომელსაც Lumos-ი ჰქვია.

### კიანუ რივზი

კიანუმ მილიონობით დოლარი გაიღო ლეიკემიასთან ბრძოლის, ბავშვთა და ცხოველთა დაცვის ფონდებისა და ორგანიზაციებისთვის. თავისი ჰონორარი კი, რომელიც ფილმ „მატრიცას“ მეორე და მესამე ნაწილისთვის აიღო, გაუნაწილა იმ თანამშრომლებს, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ კოსტიუმებსა და სპეცეფექტებზე. კიანუმ ჩათვალა, რომ ეს სამართლიანი იქნებოდა და დაუნანებლად გაიღო 75 მლნ დოლარი. იმ სტუდიის თანამშრომლების თქმით, სადაც „მატრიცას“ იღებდნენ, კიანუ ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც პირადად იცნობდა ყველას, ხოლო ერთ მათგანს 20 ათასი დოლარიც კი აჩუქა, რადგან მისი გამოუვალი მდგომარეობის შესახებ შეიტყო.

### მენი პაკიაო

ფილიპინელი მენი პაკიაო ძალიან ღარიბ მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. ფული რომ ეშოვნა, პატარა ასაკშივე მიატოვა სკოლა და ქუჩაში ფუნთუშების გაყიდვით ირჩენდა თავს. თან ბევრს ვარჯიშობდა. სწორედ მიზანსწრაფულობისა და რკინის ნებისყოფის წყალობით იგი მსოფლიოში ცნობილი მოკრივე გახდა. გამდიდრებულმა მენიმ გადაწყვიტა, დახმარებოდა თავის ძველ მეზობლებს და მათთვის სახლების აშენება დაიწყო – ასეთი სახლები ახლა ათასზე მეტია გაერთიანებული ერთ დასახლებაში, რომელსაც მის პატივსაცემად „პაკმან ვილაჯი“ ჰქვია. აქვეა სპორტული მოედნები, პარკი და მრავალფუნქციური ცენტრი.

### ჯორჯ მაიკლი

მომღერალი ჯორჯ მაიკლი ქველმოქმედებაზე მილიონებს ხარჯავდა – მართავდა უფასო კონცერტებს, უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს ეხმარებოდა და ყოველივე ამას საიდუმლოდ აკეთებდა. ამიტომ მისი კეთილი საქმეების შესახებ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი.



თვითმხილველთა თქმით, იგი სხვა ადამიანების ვალებსაც კი იხდიდა. მაგალითად, როდესაც მან კაფეში ქალი ნახა, რომელიც გულამოსკვნით ტიროდა, 25 ათას გირვანქაზე ჩეკი გამოუწერა და კაფეს თანამშრომლებს სთხოვა, ქალბატონისთვის გადაეცათ, როცა იგი კაფეს დატოვებდა. სხვა შემთხვევაში მან გოგონა-ბარმენის სტუდენტური სესხი დაფარა. ერთ ქალბატონს კი 15 ათასი გირვანქა სტერლინგი მისცა, რათა მას დედობის ბედნიერება ეგრძნო და ხელოვნური განაყოფიერებით გაეჩინა შვილი.

### ხოსე მუხიკა

ურიგვაის ყოფილი პრეზიდენტი, რომელსაც ასევე „ყველაზე ღარიბ პრეზიდენტსაც“ ეძახიან არა იმიტომ, რომ მართლაც ძალიან პატარა ხელფასი ჰქონდა, თუმცა, თვეში 12 500 დოლარი ბევრი მართლაც არ არის... საქმე ის გახლავთ, რომ ხოსე შემოსავლების ნაწილს გაჭირვებულებს აძლევდა, თვითონ კი სოფლის სახლში ცხოვ-



რობდა, ძველი „ფოლკსვაფენით“ გადაადგილდებოდა, იმავე კლინიკებში დადიოდა, სადაც მისი თანამემამულენი და ექიმთან რიგშიც მათთან ერთად იდგა.

### ელვის პრესლი

როკ-ენ-როლის მეფეს ძალიან უყვარდა მანქანები და მუდმივად ყიდულობდა მათ, მაგრამ არა მარტო თავისთვის. ერთხელ მანქანის შესძენად მისულმა ნახა, როგორ ათვალიერებდა ერთი ქალბატონი მანქანას. ელვისი შეეკითხა, მოსწონდა თუ არა ის და როდესაც ქალმა დადებითი პასუხი გასცა, აჩუქა. ამ ამბის შესახებ რადიოეთერში გაჟღერდა და წამყვანმა ხუმრობით განაცხადა, რომ ასეთ საჩუქარზე თვითონაც არ იტყოდა უარს. ელვის პრესლიმ მას ეს სურვილი შეუსრულა და ისეთი ფერის მანქანა აჩუქა, როგორზეც წამყვანი ოცნებობდა. როგორც ამბობენ, სიცოცხლის მანძილზე ელვის გაჩუქებული აქვს 1000-ზე მეტი კადილაკი, ლინკოლნი, მერსედესი და სხვა მანქანა, ზოგი კი იმასაც ამტკიცებს, რომ მათი რაოდენობა ორჯერ მეტია. ელვისის ხელგაშლილობის შესახებ დოკუმენტური ფილმიც კი გადაიღეს.

### ზაკ გალიფიანაკისი

როცა ზაკი დამწყები მსახიობი იყო, სამრეცხაოში მომუშავე ხანშიშესული ქალბატონი გაიცნო, რომელიც იქვე ცხოვრობდა. ქალს მიმი ჰეისთი ერქვა. როდესაც ზაკი სახელგანთქმული გახდა, მან ქალს ბინა დაუქირავა და ბინის ქირა და ყველა ხარჯი საკუთარ თავზე აიღო. ზაკის მეგობარ რენე ზელვეგერს მიმისთვის პროდუქტები მიაქვს, ხოლო ზაკს იგი თავისი ფილმების პრემიერებზე დაჰყავს.

### პოლ უოკერი

ისევე, როგორც ჯორჯ მაიკლი, პოლ უოკერიც ჩუმად აკეთებდა კეთილ საქმეებს. მისი ხელგაშლილობის შესახებ მხოლოდ მსახიობის გარდაცვალების შემდეგ, 2013 წელს გახდა ცნობილი. საიუველირო მაღაზიის გამყიდველის თქმით, პოლმა ახალგაზრდა წყვილი ნახა, რომლებმაც საქორწინო ბეჭდები მათი სიძვირის გამო ვერ შეიძინეს. მსახიობმა შეიძინა მათთვის 9 000 დოლარის ღირებულების ბეჭდები და სთხოვა მაღაზიის თანამშრომლებს, ანონიმურად გაეგზავნათ წყვილისთვის მათთვის შეძენილი საქორწინო საჩუქარი.

### ელენ დეჯენერესი

აი, მაგალითი იმისა, რომ კეთილი საქმეებისთვის აუცილებლად დაჯილდოვდებით. 22 წლის ოფიციანტმა სარა ჰოიდალმა იმ ორი სამხედრო მოსამსახურე ქალბატონის დანახარჯი გადაიხადა, რომლებსაც მომსახურებას უწევდა. თანხა შეიძლება სულაც არ მოგეჩვენოთ მნიშვნელოვნად – 27,5 დოლარი – მაგრამ იმ ჯარისკაცებისთვის, ვისაც დაფინანსება შეუმცირეს და თავად სარასთვისაც, რომელიც მარტო ზრდიდა ბავშვს, ეს დიდი ფული იყო. იმ დღეს დარჩენილი ფული სარას იმისთვისაც კი არ ეყო, რომ თავის ძველთაძველ მანქანაში საწვავი ჩაესხა. გოგონას კეთილი საქციელის შესახებ ტელეწამყვანმა ელენ დეჯერესმა



შეიტყო, ის თავის შოუში მიიწვია, გადასცა 10 000 დოლარი და ახალი ტელევიზორი, მერე კი ავტომანქანაც აჩუქა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

## სახალხო მკურნალი
## (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com